

**ქარარელ-ეკონომიკური  
ეაცნოერება  
და  
ტექნოლოგიები**

**№3-4**

**თბილისი  
2020**

ქარარელ-ეკონომიკური  
მეცნიერება  
და  
ტექნიკოგიანი

№3-4

თბილისი  
2020

ISSN 1987-6335

**სამრართელ-ეკონომიკური  
მეცნიერება და ტექნიკური გიგანტი  
2020 №3-4(48-49)**

საქართველოს სამეცნიერო-  
გათვალისწინებული და პრაქტიკული,  
ყოველკვარტალური რევილურებული  
ჟურნალი

**Agrarian-economic  
Science and Technologies  
2020 №3-4(48-49 )**

**International Scientific-  
Methodological and Applied,  
Quarterly Referenced Journal**

ჟურნალი დაფუძნდებულია და გამოდის  
2008 წლიდან. ყოველკვარტალურად

**Journal was Founded in 2008  
and is issued quarterly**

**599-22-75-50**

E-mail: areal 55555@gmail.com

www. gaas.dsl.ge

**თბილისი - Tbilisi  
2020**

## **ომარ ქეშელაშვილი**

სარგებლური-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიონი.

## **სარგებლური-სამეცნიერო საბჭო:**

საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოლუაშვილი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

## **სარგებლური-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:**

მარტინ აბებრიძე (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანორმიარ ცენტოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

## **საგამომცემლო-სარგებლური კოლეგია:**

ლევან შვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმმ აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, მჩავლეიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

## **O. Keshelashvili**

**Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences.**

## **Editorial-scientific Board:**

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G. Japaridze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, N. Chkhartishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze.

## **Foreign members of Editorial–Scientific Board:**

Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia), Aleksei Sizonov (Ukrain), Ian Piculi (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepiarczyk (Poland), Chaba Chaki (Hungary), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

## **Publishing Board**

**D.Egiashvili**-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskishvili-Academic doctor, N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

# 1. ეკონომიკა და ბიზნესი

## Economics and Business

საქართველო ახალ მსოფლიო ჭარიგში  
(აცუ საქართველო გლობალიზაციის ჭრადში)

ომარ ქეშელაშვილი—  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

რეფერატი  
(ინტერნეტული ვერსია)

გაშუქებულია ახალი მსოფლიო წესრიგის გაგება, რომელიც უკავშირდება ინტეგრაციის პროცესს.

ნათელად, რომ მრავალი ათეული წლის განმავლობაში ინტეგრაციის პროცესი თითქმის ყველა სფეროში და განსაკუთრებით ეკონომიკაში, შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, იხვეწებოდა, ახალ-ახალ ფორმებს იძნდა და წინააღმდეგობრივად ვთარდებოდა. ეკონომიკურად დიდად განვითარებულ ქვეყნებში ინტეგრირების პროცესმა ისეთ გაქანებას მიაღწია, რომ რადიკალურად შეცვალა მისი სტრატეგიული ტემპები და მასშტაბები, იგი ვეღარ ეტეოდა იმუშამინდელ ჩარჩოებში და გარეთ გასვლისკენ ემზადებოდა. ამის ერთ-ერთი ნიშანი იყო ტრანსეროგებული კორპორაციებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება.

მოცემულია გლობალიზაციის მეცნიერების განმარტება და საქართველოს ადგილი და როლი ამ სისტემაში. ხაზგასმულია, რომ საჭიროა სწორი ორიენტაცია და გამართლებული სტრატეგია, ამავდროულად კი ქართული იმიჯისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება, რამაც თავის მხრივ კიდვე უფრო უნდა აამაღლოს ქვეყნის როლი მსოფლიო თანამეგობრობაში.

გლობალიზაციის პრობლემა დღით-დღე უფრო თვალსაჩინო და მასშტაბური ხდება. უნდა ითქვას, რომ გლობალური მიდგომა, გლობალური შესწავლა, გლობალური აზროვნება, გლობალური გადაწყვეტა და ა.შ. სულაც არ არის ახალი. ასეთი სიტყვათწყობები და ფორმულირებები იმდენი ხანია არსებობს, რაც თვით სიტყვა „გლობალური“. თუმცა, უკანასკნელ ხანს (და ეს ერთი და ორი წელი როდია), მან ახალი, მოდიფიცირებული გააზრება და შინაარსი

შეიძინა და გლობალიზაციის სახით, დიდი მასშტაბის მქონე პრო-ცესად ჩამოყალიბდა.

გლობალიზაციის ჩასახვა, მისი დღის წესრიგში დაყენება და მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად ქცევა თანამედროვე (**ახალმა**) მსოფლიო წესრიგმა განაპირობა. ეს წესრიგი სწოდება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სივრცეს და მრავალი ფაქტორით არის განსაზღვრულ-დასაბუთებული.

ამ ფაქტორთა და პირობათა შორის ერთ-ერთი ძირითადია ინტეგრაციული პროცესები, რასაც თითქმის შეუძლებელი ხასიათი აქვს და დინამიურად ვითარდება.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ინტეგრაციის პროცესი თითქმის ყველა სფეროში და განსაკუთრებით ეკონომიკაში, შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, იხვეწებოდა, ახალ-ახალ ფორმებს იმქნდა და წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. იყო პერიოდი, როდესაც უკუსვლებიც გაკეთდა, რამაც ვერაფერი სასიკეთო ვერ მოიტანა და კვლავ პრიორიტეტული გახდა ინტეგრირება. ამის კლასიკური მაგალითები უხვად დაგროვდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში: აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთში და სხვაგან.

ეკონომიკურად დიდად განვითარებულ ქვეყნებში ინტეგრირების პროცესმა ისეთ გაქანებას მიაღწია, რომ რადიკალურად შეცვალა მისი სტრატეგიული ტემპები და მასშტაბები, იგი ვეღარ ეტენდა იმჟამინდელ ჩარჩოებში და გარეთ გასვლისკენ ემზადებოდა. ამის ერთ-ერთი ნიშანი იყო ტრანსეროვნული კორპორაციებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება.

ამით დაიწყო ინტეგრაციის პროცესის რევოლუციური ცვლილება და მისი ტემპების უსწრაფესი ზრდა. ყოველივე ეს უკიდეგანო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგი იყო.

სწორედ ამ პროცესებმა დაუდო სათავე ახალ მსოფლიო წესრიგს, რამაც, ლოგიკურია, მსოფლიო ანუ გლობალური მასშტაბი შეიძინა.

როდესაც ვლაპარაკობთ ახალ მსოფლიო წესრიგზე—ეს ძირითადად ნიშნავს, რომ იქმნება და ვითარდება ისეთი მიღებები, გადაწყვეტები, ნორმები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, სტრატეგია, ურთიერთობათა ეტიკეტი და ა.შ., რომელიც ვრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე—გლობალურად. ეს წესრიგი კი, უპირატესად ყალბიდება პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტებით, სამართლებრივი ნორმებით, სოციოლოგიური ვალდებულებებით, ტექნოლოგიური სისტემებით და სხვ.

ამრიგად, მსოფლიოს ახალმა წესრიგმა და მისმა შეუქცევა-დობამ ინტერირების მასშტაბები გლობალიზაციის პროცესად გარდაქმნა და ჩამოაყალიბა და რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ამჟამად, თვით გლობალიზაციის არსი და რაობა მოიცავს და გულისხმობს თავად მსოფლიო წესრიგსაც. ასე, რომ როდესაც ვამბობთ „გლობალიზაცია“ უკვე იგულისხმება, რომ საქმე გავქვს თანამედროვე მსოფლიო წესრიგთან და, უფრო ზუსტად თუ გამოვხატავთ—მისით გაპირობებულ და მის შესაბამის მოვლენებთან და პროცესებთან.

აი, ასეთ როგორ ვითარებასთან ჰქონდა საქმე კაცობრიობას უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და მისდაუნებურად ჩატვირთდა გლობალიზაციის საერთო-საყოველოაო პროცესში.

საბაზო ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო გლობალიზაციის საერთო სისტემაში ორი, ძირითადი, ურთიერთდაკავშირებული სფერო გამოიყოფა. ერთია-სოციალურ-ეკონომიკური სფერო, რომელიც წარმოების და მოხმარების სისტემათა ფუნქციონირებას განსაზღვრავს და განაპირობებს, რაც ბიზნესის მოტივაციებს ეფუძნება, მეორეა-ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის სფერო, რომელიც მთელი საწარმოო ციკლის მატერიალურ საფუძველსა და მასზე ზეგავლენის მომხდენ სისტემას წარმოადგენს.

გლობალიზაციაზზე ბევრს წერენ და მსჯელობენ, იმართება სიმპოზიუმები, შეხვედრები, დისკუსიები და რაც მთავარია იდება სახელმწიფოთაშორისი, კორპორაციათაშორისი, ფირმებშორისი და ბანკთაშორისი კონტრაქტები და გარიგებები, თუმცა ყველგან და ყოველთვის როდი განმარტავენ ერთნაირად და მისაღებად. ასეა თუ ისე, გლობალიზაციის, როგორც ტერმინის ფორმულირება ჯერ კი-დევ დასახვეწია.

მაინც, რას ნიშნავს გლობალიზაცია?

გთავაზობთ ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ ფორმულირებას. ვფიქრობ, იგი ხელს შეუწყობს მასზე ერთიანი შეხედულების შექმნას.

გლობალიზაცია არის თანამედროვე მსოფლიო წესრიგით გაპირობებული, მსხვილმასშტაბიან, სტრატეგიულ ღონისძიებათა ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების, სრულყოფისა და მართვის დინამიური პროცესი, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო არეალი და სახელმწიფოთაშორისი, შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონული და დარგობრივი კავშირები, მოიცავს ადამიანთა საქმიანობისა და ურთიერთობის თთქმის კულა სფეროს და მისი მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების სტაბილიზაცია.

ამრიგად, გლობალიზაცია მთელი სიგრძე-სიგანით დგას ჩვენს წინაშე. საქართველო, ისე, როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის საერთო წრედშია მოქცეული, რომელიც თანდათან ამტკიცებს თავის ძალსაზებს და გავლენის სფეროებს მსოფლიო ქვეყნებზე.

როგორ შეხვდა საქართველო გლობალიზაციასა და მის გა-მოწვევას?

უნდა ითქვას, რომ საქართველო, როგორც პიზნეს (ამ ათე-ული წლების წინათ), ასევე, გლობალიზაციასაც თითქმის მოუ-მზადებელი შეხვდა. ბიზნესის კარიბჭესთან შეყონებამ, შემდეგ კი არასწორმა და დაგვიანებულმა ეკონომიკურმა სვლებმა სუსტი პი-რობები და გარემო შექმნეს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში ისეთი თავბრუდამსვევი ტემპებით ვითარდება პროცესები, რომ ყოველ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც ჩამორჩება ამ ტემპებს, ის დაკარგავს ორიენტაციას და გამოვა მდევრის როლში. ეკონომიკაში მთავარია არ გამოგრჩეს სვლები და მოქნილი მექანიზმით ფეხდაფეხ მიჰყვე საერთო მოვლენებს. ეკო-ნომიკა კი ის ღერძია, რომელზეც ბრუნავს მთელი სახელმწიფო, გლობალური გაგებით კი მთელი მსოფლიო.

ადრე, მე, ბიზნესთან დაკავშირებით ვწერდი, ახლა კი გლობალიზაციასთან მიმართებაში ნაწილობრივი განმეორებით უნდა ავლნიშნო, რომ საქართველო, გლობალიზაციის საყოველოთაო პრო-ცესს მიადგა, ერთის მხრივ: ფრთხებშეკვეცილი, ეკონომიკურად წელ-გაუმართავი, მართვის მოუქნელი მექანიზმით და ჯერ კიდევ დაუ-სვერწავი სტრატეგით; მეორეს მხრივ კი: როგორც მდიდარი ბუ-ნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობების, დიდი ისტორიული ტრადიციების, სოფლის მეურნეობის უნიკალური დარგებისა და კუ-ლტურების მქონე ქვეყანა, ბევრისათვის უცხო და აუთვისებელი მხა-რე, საქმაოდ წონადი გამოგონებებითა და მეცნიერული მიღწევებით, დიდად საინტერესო და ყველასათვის საშური გეოპოლიტიკური სივ-რცე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია-კეთილმეზობლური განწყო-ბილებებისა და მისწრაფებების მქონე რეგიონი, დამახასიათებელი საკუთრი, ქართული იმიჯით.

ასეთი პირობების მქონე ქვეყანა ბევრისთვის დასახარბებელ ობიექტს წარმოადგენს გლობალიზაციის საერთო პროცესში ჩასა-რთვად და, თუ არ წამომცდა, მის კლანჭებში ჩასათრევად.

დიახ, გლობალიზაცია დიდი მორევია, რომელშიც ღრმად შე-სვლა სახიფათოა. აქ, დიდი და სუპერგანვითარებული სახელმწი-ფოები დომინირებენ და პარაშობენ, პატარებისთვის კი მცირე

სივრცეა გაბედული და თამამი ორიენტაციისათვის. გლობალიზაციის მორევი სწორედ დიდია სახელმწიფოებმა შექმნეს, რომლის დინება-შიც ოსტატურად მორგებული ფარული სტრატეგიაა ჩამონატა-ჟებული, თითქოს დასახარბებელი, მაგრამ საკმაოდ ლაბირინთიანი და საფრთხილო. გლობალიზაციის საერთო წესრიგს დიდი სახელმწი-ფოები ქმნიან და არეგულირებენ. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ როგორც კონკურენციას, ასევე გლობალიზაციასაც თავისი უღმო-ბელი კანონები გააჩნია. ვინც მას ვერ გაუგებს და ვერ გაუძლებს, შთაინთქმება მის წიაღში.

გლობალიზაციასთან ურთიერთობაში ყოველთვის უნდა გვა-ნსოვდეს: გააჩნია ვისთან, სად, როდის, როგორ და რისთვის. ამ კითხვაზე არასწორი პასუხი და ოდნავი გადაცდუნება შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ამიტომ, ერთის მხრივ-უფრთხილდით გლობალიზაციას და მის მახეს, მეორეს მხრივ კი, განჭვრიტე სწორად და გამოიყენეთ მისი დიდი შესაძლებლობები.

საქართველოს, გლობალიზაციის პროცესში ჩასართველად მრავალი სფერო და მიმართულება გააჩნია, მაგრამ არის ისეთი დარ-გები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ამ პროცესს.

ასეთი დარგია სოფლის მეურნეობა, ნიადაგურ-კლიმატური უნიკალურობით და ზონებისა და მიკროზონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული და ცვალებადი ბუნებრივ-ეკონომიკური გარემოთი. აქ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოიკვეთა და დადგინდა მიკროზონალური სპეციალიზაციის მიმართულებები, მცირექონტუ-რიანი არეალებით, რაც ნაკლებად მიესადაგება გლობალიზაციის საე-რთო პრინციპებს, თუმცა ის კი სულ სხვა საქმეა, გამართლებულად ჩაითვლება თუ არა ვთქვათ მევენაზეობისა და მეხილეობის, ანდა, მეჩაიეობის თუ სხვა დარგების ტრანსეროვნული კორპორაციების (ან სხვა ფორმების) შექმნა. ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა და გადა-წყვეტა საქართველოსათვის ნაკლებად მისაღები უნდა იყოს.

ეს დარგები საქართველოს სოფლის მეურნეობის იმიჯის შემქმნე-ლი, ტრადიციული და სტრატეგიული დარგებია და ყოველთვის უნდა დარჩეს ასეთად.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში რაციონალურად შეიძლება გამოვიყენოთ ინგესტიციები, საექსპორტო-საიმპორტო სისტემები, ტექნოლოგიური სიახლეები და სხვა, რაც გლობალიზაციის ელე-მენტებს შეადგენს და მისი გამოძახილია.

გამოდის, რომ გლობალიზაციასაც გააჩნია ლოკალური მიდგომები და სვლები, რაც ეკონომიკური მექანიზმის აუცილებელი

ნაწილებია. ოოგორც მიჩნეულია, გლობალიზაციაც ხომ ეკონომიკურ კატეგორიად ყალიბდება.

გლობალიზაციას სხვადასხვა მიმართულებები და მოდიფიკაციები გააჩნია, ერთ-ერთია ზონალური, რეგიონული გლობალიზაცია, მაგ. ე.წ. „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“, რომელშიც ბევრი ფარული ელექტრია ჩადებული და რომლის აღიარება და დაშვება ყველგან და ყოველთვის როდია გამართლებული.

უკანასკნელ ხანს საქართველოშიც გამოუჩნდა ამ მიმართულებას მომხრეები, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღება ჩვენთან არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები. იგი ზიანის მეტს არაფერს მოიტანს, თანაც პოლიტიკურ დაძაბულობას შექმნის. როდესაც ამ მოსაზრებას ვაყალიბებ მხედველობაში ვღებულობ: გეოპოლიტიკურ ვითარებასა და ძალხაზებს; ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადათ-წესებსა და ტრადიციებს; ახლანდელ და პროგნოზირებად ეკონომიკურ სიტუაციას და მის ჩამოყალიბებლ მექანიზმებს, თავისი სირთულეებით; სოციალურ და დემოგრაფიულ სიტუაციას; უკვე დაშვებულ შეცდიმებს, რომელიც ეხება სამსარეო დაყოფას; სახელმწიფო მენეჯმენტის სიუსტეს და სხვ.

ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა თავისუფალი ეკონომიკური ზონები არ სჭირდება, ეს უბიძებს ქვეყნის მასშტაბით უმართავი სიტუაციისკენ და განსაკუთრებულად დაასვამს დაღს სოფლის მეურნეობას, რომელსაც გააჩნია თავისი სპეციფიკა და პრიორიტეტები, რაც ყოველმხრივ დაცული და განმტკიცებული უნდა იქნას.

ამრიგად, საქართველო გლობალიზაციის დიდ წრედშია ჩართული, სადაც საჭიროა სწორი ორიენტაცია და გამართლებული სტრატეგია, ამავდროულად კი ქართული იმიჯისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო უნდა აამაღლოს ქვეყნის როლი მსოფლიო თანამეგობრობაში.

## **Georgia in a new World Order-Georgia and Globalization**

**O. Keshelashvili-**

Doctor of Economic Sciences, professor,  
Academician of the Georgian Academy  
of Agricultural Sciences

### **Abstract (Internet Version)**

The present article discusses meaning of a new world order which is closely connected with the process of integration. It has been observed that the process of integration in almost all spheres, and in economy particularly, was progressing in a rather slow pace facing difficulties, expanding, and gaining new controversial forms.

In developed countries, the process of integration in economy reached such high level that it changed its strategic directions and scales. The result of this was development of international corporations and unions.

The author also gives his personal attitude and definition of globalization, as well as identifies the place and role of Georgia in this system. It is underscored, that correct orientation and proven strategy in combination with Georgian national identity, will raise the image of our country in the global cooperation system.

# **2. აგრარული ეკონომიკა**

## **Agrarian Economy**

---

**ძველის სოფლის მეურნეობაში მიმღიცავ  
აროცხესები**

**დალი სილაგაძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ა.წ.წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული როფესორი

**რეფერატი**  
(ინტერნეტ-ული ვერსია)

კორონავირუსმა გავლენა იქონია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. განსაკუთრებით შეფერხდა საზაფხულო სამუშაოები სოფლის მეურნეობაში, რისთვისაც მინისტრთა კაბინეტმა, ანტიკრიზისული გეგმიდან გამომდინარე, მიიღო ახალი სახელმწიფო პროგრამა "სასოფლო-სამეურნეო დანაშაულების მიწის მესაკუთრეთა სტამულირება".

ამდენად, მიმდინარე პროექტებს შედავათინი აგროკრედიტი; გადამშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი; აგროდაზღვევა; დანერგე მომავალი; ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა; აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა; ახალგაზრდა მეწარმე; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა-დაემატა ასალი სახელმწიფო პროგრამა "სასოფლო-სამეურნეო დანაშაულების მიწის მესაკუთრეთა სტამულირება", რომლის დროული განხორციელება ზელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. ამისთვის კი აუცილებელია ფერმერთა ადგილებზე ინფორმირება.

ამჟამად, ქვეყნის წინაშე ბევრი მწვავე და მეტად აქტუალური პრობლემა დგას, რომელთა გადაწყვეტამ დადგებითი გავლენა უნდა მოახდინოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე.

კორონავირუსმა გავლენა იქონია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. განსაკუთრებით შეფერხდა საზაფხულო სამუშაოები სოფლის მეურნეობაში, რისთვისაც მინისტრთა კაბინეტმა, ანტიკრიზისული გეგმიდან გამომდინარე, მიიღო ახალი სახელმწიფო პროგრამა "სასოფლო-სამეურნეო დანაშაულების მიწის მესაკუთრეთა სტამულირება", რომლის დროული განხორციელება ზელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. ამისთვის კი აუცილებელია ფერმერთა ადგილებზე ინფორმირება.

ლმწიფო პროგრამა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება".

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხენის მომსახურების დირებულების სუბსიდიორებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიული პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ, ჯამურად, არანაკლებ 0.25 პა და არაუმეტეს 10 პა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიის) რეგისტრირებული მიწის მესაკუთრებებს და პირებს, რომელთაც თანასაკუთრებაში გააჩნიათ ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 პა და არაუმეტეს 10 პა მიწის ნაკვეთი (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიისა).

სუბსიდირება შეადგენს 1 პა-ზე 200 ლარს (ბართზე დარიცხულ 200 ქულას), 10 პა-ზე 2,000 ლარს.

თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია არანაკლებ 0.25 პა და არაუმეტეს 10 პა მიწის ნაკვეთ(ები), სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 200 ლარით-შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1 პა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით, ან/და თუ ბენეფიციარს თანასაკუთრებაში გააჩნია ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 პა და არაუმეტეს 10 პა მიწის ნაკვეთ(ები), სუბსიდიის მუცულობა განისაზღვრება თითოეულ თანასაკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 200 ლარით-შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1 პა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით.

ფერმერებს სს „ლიბერთი ბანკის“ პლასტიკურ ბარათებზე დაერიცხებათ ქულები, 1 პა- 200 ლარი, 1 ქულა=1 ლარს, შესაბამისად, 200 ქულა. ბენეფიციარი მიიღებს საკუთრებაში არსებული დარეგისტრირებული მიწის მოცულობის შესაბამის სუბსიდიას, მაგალითად: თუ გაქვთ 0.25 პა- მიიღებთ 50 ლარს, თუ გაქვთ 10 პა მიიღებთ 2, 000 ლარს.

ბარათზე დარიცხული ქულებით 0.25 პა და 1.25-მდე მიწის ფართობის მფლობელებს/თანამესაკუთრებებს სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეეძლებათ შეისყიდონ სასუკები,

მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალები.

1.25-დან 10 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელები/თანამე-საკუთრები დამატებით შეძლებენ ხვის მომსახურების მიღებას. ხვის მომსახურების მიღება შესაძლებელია მხო-ლოდ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების“ კომპანიის” (ყოფილი შპს „მექანიზატორი“) სე-რვისცენტრებში, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ყველა რეგიონში (ჯამში 12). ხვის საფასური შეადგენს 1 ჰა-ზე 150 ლარს (150 ქულა).

მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება ბართზე დარიცხული ქულებით, პოსტერმინალის გამოყენებით.

პროგრამით ისარგებლებს 200,000-ზე მეტი ფერმერი.

- 20 მაისიდან ფერმერმა უნდა მიმართოს სს „ლიბერტი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს. სს „ლიბერტი ბანკი“ ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს ბარა-თს. დარიცხული ქულების რაოდენობის გადამოწმება ფერმერს/ბენეფიციარს შეეძლება ლიბერტი ბანკის ცხელ ხაზზე (2555500) ან ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე პირა-დი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანით. ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 20 მაისიდან, ეტაპობრივად [www.libertybank.ge/ka/](http://www.libertybank.ge/ka/)

აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2021 წლის 20 მაისი.

თუ მიწა ფერმერს საჯარო რეგისტრის ეროვნულ საა-გენტოში რეგისტრირებული არ აქვს, პროგრამაში მონაწი-ლეობას ვერ მიიღებს. ფერმერს პროგრამაში ჩართვა და დახმარების მიიღება შეუძლია ნაკვეთის რეგისტრაციის გაფორმების შემდეგ. რეგისტრაციის მომდევნო თვიდან ფერმერმა, ბარათის მისაღებად, უნდა მიმართოს ლიბერტი ბანკს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 37 მლნ ლარს.

პროგარამაში მონაწილეობას და დიზენის შედავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნა-კვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეგისტრის ეროვნულ საა-გენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა სამოვარისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პი-რველად რეგისტრაციას და დაზუსტებას. პროგრამით

მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალიწინებულია ერთ ჰეტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემა.

ფერმერებისთვის ფასდაკლების ბარათის გადაცემა განხორციელდება იუსტიციის სახლების, იუსტიციის სახლების საზოგადოებრივი ცენტრებისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურების ოფისებში, ხოლო პჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არსებულ მუნიციპალურ ცენტრებში. აგროდიზელის ფასდაკლების ბარათის მისაღებად უნდა გამოცხადნენ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები და თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სხვა პირის გამოცხადების შემთხვევაში, პირს თან უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა.

2020 წლის მაისის მეორე ნახევრიდან, ეტაპობრივად დარიგდება ფასდაკლების ბარათები და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის ბოლომდე. იურიდიული პირები ფასდაკლების ბარათის მიღებას შეძლებენ 1 ივნისიდან.

პროგრამაში ჩართულ ფერმერებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებში, იუსტიციის სახელბა და საზოგადეობრივ ცენტრებში დაურიგდებათ ავტოგასამართი კომპანიის („სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“) ფასდაკლების ბარათები. ადნიშნული ბარათებით, პროგრამით მოსარგებლე ფერმერებს, შესაძლებლობა ექნებათ, დიზელის საწვავი, მიმდინარე წლის განმავლობაში, დიზელის ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებში ფიქსირებულ ფასზე, დაახლოებით, 1 ლარით ნაკლებ ფასად შეიძინონ. საწვავის შეძენა შესაძლებელი იქნება „სოკარ პეტროლეუმ-ჯორჯიას“ საბითუმო ბაზებიდან და ავტოგასამართი სადგურებიდან.

ფასდაკლების ბარათები იქნება სხვადასხვა ნომინალის; შესაბამისად, სურვილისამებრ განახორციელებოთ სასურველი ოდენობის ბარათების გამოყენებას. 1 ივნისამდე ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ გაანალიზონ მხოლოდ 100 ლიტრის ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათები.

მიწის თანამესაკუთრეობის შემთხვევაში, აგროდიზელის ფასდაკლების ბარათების გაცემა შესაძლებელია ერთ-ერთ თანამესაკუთრეზე, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს სხვა თანამესაკუთრეთა ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა.

სუბსიდირება შეადგენს 1 ჰა-ზე გაანგარიშებით 150 ლიტრი დიზელის შედავათიან ფასად შეძენას; 10 ჰა-ზე 1500 ლიტრის შედავათიან ფასად შეძენას; ამგვარი დაანგარიშებით 100 ჰა-ს ჩათვლით.

100 ჰა და და მეტი მიწის ფართობის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები შედავათიან ფასად შეიძენენ არაუმეტეს 15000 ლიტრ დიზელს.

საბიუჯეტო სახსრები პროგრამისთვის არ იხსარჯება. ვერმერებს, ჯამურად, დიზელის შესყიდვისას ექნებათ 40 მლნ ლარამდე შედავათი.

200,000-ზე მეტი ფერმერი შეძლებს ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით.

**ამდენად,** მიმდინარე პროექტებს შედავათიანი აგროკრედიტი; გადამტუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი; აგროდაზღვევა; დანერგე მომავალი; ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა; აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა; ახალგაზრდა მეწარმე; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა-დაემატა ახალი სახელმწიფო პროგრამა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება", რომლის დროული განხორციელება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. ამისთვის კი აუცილებელია ფერმერთა ადგილებზე ინფორმირება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ინტერნეტმასალები:

- ა) ახალი სახელმწიფო პროგრამა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება".
- ბ) 2019 წლიური ანგარიში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

# **Processes in the country's agriculture**

**Dali Silagadze-**

Doctor of Business Administration. Ak. Associate Professor  
of Tsereteli State University

## **Abstract (Internet Version)**

COVID-19 or Coronavirus has affected not only Georgia but also the world economy. Summer work in agriculture has been particularly hampered, with the Cabinet of Ministers adopting a new state program "Stimulating Agricultural Land Owners" based on an anti-crisis plan. Thus, the current projects are preferential agro-credit; Co-financing project for processing and storage enterprises; Agricultural insurance; Introduce the future; Tea Plantation Rehabilitation Program; Agro-production support program; Young entrepreneur; Agricultural machinery

Co-financing program-A new state program "Stimulating Agricultural Land Owners" has been added, the timely implementation of which will facilitate the production of agricultural products. For this, it is necessary to inform the farmers on the spot.

## მეურნეობაშის დაფინანსები ახალი უნივერსიტეტის

**დალი სილაგაძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი, აკადემიური სახელმწიფო უნივერსიტეტის ასცირებული პროფესორი

### **რეფერატი** (ინტერნეტ-ული ვერსია)

შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი წლიდან წლამდე სახეს იცვლის, გარკვეულ მოდიფიკაციას გადის რეალობიდან გამომდინარე. დღეს შეცვლილია რეალობა ბანკებში; გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი, იმისთვის, რომ მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს აგროსასურსათო სექტორს და აგროსასურსათო ბიზნესს. ეს არის ახალი შესაძლებლობები, რომელიც კრიზისის დროს ჩნდება ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობაში. ჩვენი მოსახლეობის, დაახლოებით, 39 %-ია სოფლის მეურნეობაში ჩართული. ამ პერიოდის განმავლობაში ადამიანები მიუბრუნდნენ სოფელს, თავიანთ ნაკვეთებს და მათ სჭირდებათ შესაძლებლობები იმისათვის, რომ თავიანთ მიწებზე, რეგისტრირებულ მიწებზე შეძლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

ამდენად, იმედს ვიტოვებთ მეურნეობებისთვის და ფერმერებისთვის გათვალისწინებული აგროკრედიტები პრაქტიკულად განხორციელდება, ეს არის ახალი შესაძლებლობები, და ეს შესაძლებლობები გამოყენებული უნდა იქნეს აგროსასურსათო სექტორის გაძლიერებისათვის

უნივერსალური პროგრამა, რომელიც ხორციელდება 2013 წლიდან, ეს არის აგროკრედიტის პროექტი. შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი წლიდან წლამდე სახეს იცვლის, გარკვეულ მოდიფიკაციას გადის რეალობიდან გამომდინარე. დღეს შეცვლილია რეალობა ბანკებში; გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი, იმისთვის, რომ მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს აგროსასურსათო სექტორს და აგროსასურსათო ბიზნესს. ეს არის ახალი შესაძლებლობები, რომელიც კრიზისის დროს ჩნდება ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობაში. ჩვენი მოსახლეობის, დაახლოებით, 39 %-ია სოფლის მეურნეობაში ჩართული. ამ პერიოდის განმავლობაში ადამიანები მიუბრუნდნენ სოფელს, თავიანთ ნაკვეთებს და მათ სჭირდებათ შესაძლებლობები იმისათვის, რომ თავიანთ მიწებზე, რეგისტრირებულ მიწებზე შეძლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

თვის, რომ თავიანთ მიწებზე, რეგისტრირებულ მიწებზე შეძლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

აგრარულ წარმოებაში კონომიკური ზიანის შესამცირებლად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კომპლექსური ღონისძიებების გატარებას იწყებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ანტიკრიზისული გეგმა წარადგინა. გეგმის თანახმად, ახალი კორონავირუსის გავრცელებით შექმნილი ვითარებით გამოწვეული კონომიკური ზიანის შესამცირებლად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ ფერმერებსა და მეწარმეებს შესაძლებლობა ეძღვათ სახელმწიფოსგან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღონ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უძოკლეს დროში შემუშავდა ახალი პროექტები; არსებული რეალობის გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე პროექტებშიც.

პროექტის „შედაგათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში, ერთწლიანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით გაიცემა კრედიტები, რომლის სავარაუდო მოცულობა 50,000,000 ლარი იქნება. სახელმწიფო სრულად დააფინანსებს სესხების 6 თვის საპროცენტო განაკვეთს, ხოლო ფერმერებს შესაძლებლობა ეძღვათ სესხის ძირითადი თანხა გადაიხადონ მიღებული მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. 2020 წელს პროგრამით ისარგებლებს დაახლოებით 5,000 ბენეფიციარი.

„შედაგათიანი აგროკრედიტის“ ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი (8%-ის ნაცვლად 11%), იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც (9%-ის ნაცვლად 12 %).

შემუშავდა ახალი ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის, მათ შორის, ყურძნის გადამმუშავებელი წარმოება, პურისა და პურპროდუქტების წარმოება და მაკარონის ნაწარმის წარმოება, დაფინანსებისთვის. სახელმწიფო სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას მოახდენს წლიური 10%-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. ასევე პროექტს ემატება აგროლიზინგის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება იქნება 12%, 24 თვის განმავლობაში. 2020 წელს, პროგრამის ფარგლებში, ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 25,000,000 ლარი.

პროექტს ემატება მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი. მეხორცული მიმართულების მეცხოველეობისათვის საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემულ სესხებზე, კომპონენტის ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არაუმტებეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სახელმწიფოს მიერ სესხის ან მისი პირველი ტრანზის გაცემიდან მომდევნო 18 თვის განმავლობაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, იწყება „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ განხოციელება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფლად რბის მცირე წარმოების განვითარების ხელშეწყობა. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში დაიხსარჯება 3 მილიონი ლარი. პროგრამით ისარგებლებს 60-მდე ფერმერი.

„ხორბლის იმპორტის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, სახელმწიფო 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით, საქართველოში იპორტირებული ხორბლის რეალიზებისას წარმოქმნილ ფასთა შორის სხვაობის სუბსიდირებას მოახდენს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 5,2 მლნ ლარს.

ცვლილებები განხორციელდა „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამაში. პროგრამა სამწლიანი გახდა. მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი მოსავალი სამი კალენდარული წლით დაზღვიონ. 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 9 მილიონ ლარს.

სამინისტრო აახლებს „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამას“, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და დახურულ გრუნგში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ზრდის ხელშეწყობას. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10,000,000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.

სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, წყალმომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირები, 2020 წელს სრულად თავისუფლდებიან სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების

სამელიორაციო მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან.

გარდა ამისა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ასევე სრულად ჩამოეწერებათ შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანება, რომელიც 2012-2019 წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამელიორაციო მომსახურების შედეგად წარმოიქმნა.

„შედავათიანი აგროკრედიტით“ სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში.

„შედავათიანი აგროკრედიტის“ მიღების სურვილით პირს შეუძლია მიმართოს პროექტში ჩართულ 12 ბანკს, ხოლო შედავათიანი აგროლიზინგით სარგებლობის სურვილით, მიმართოს პროექტში ჩართულ 4 სალიზინგო კომპანიას.

დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს პროექტში ჩართულ ნებისმიერ საფინანსო ინსტიტუტს, რომელიც განიხილავს განაცხადს. თუ პოტენციური მსესხებელი აქმაყოფილებს პროექტით დადგენილ პირობებს და ბანკის/სალიზინგო კომპანიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, საფინანსო ინსტიტუტი გასცემს შედავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს და ბენეფიციართან აფორმებს ყველა საჭირო დოკუმენტს, რის შემდეგაც, სააგენტო ახდენს სესხის/ლიზინგის თანადაფინანსებას.

2020 წელს პროექტის „შედავათიანი აგროკრედიტი“ ბიუჯეტი 74 მლნ ლარია. ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში პროექტისთვის დამატებით გამოიყო 7.5 მლნ ლარი.

ამდენად, იმედს ვიტოვებთ მეურნეობებისთვის და ფერმერებისთვის გათვალისწინებული აგროკრედიტები პრაქტიკულად განხორციელდება, ეს არის ახალი შესაძლებლობები, და ეს შესაძლებლობები გამოყენებული უნდა იქნეს აგროსასურსათო სექტორის გაძლიერებისათვის.

## **New opportunities for financing farms**

**Dali Silagadze-**

Doctor of Business Administration. Ak. Associate Professor  
of Tsereteli State University

### **Abstract (Internet Version)**

The Preferential Agrocredit Project changes from year to year, undergoing some modifications based on reality. Today the reality in banks has changed; The interest rate has been increased in order to have more opportunities for the agri-food sector and agri-food business. These are new opportunities that arise for farmers in agriculture during the crisis. Approximately 39% of our population is engaged in agriculture. During this period, people returned to the village, their plots, and they needed opportunities to produce agricultural land on their lands, registered lands.

Thus, we hope that the agro-credits provided for farms and farmers will be practically implemented, these are new opportunities, and these opportunities should be used to strengthen the agri-food sector.

## სოფიას ბაზის განვითარების შესაძლებლობები

მანანა შალამბერიძე-  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
**ზეინაბ ახალაძე-**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

### რეფერატი (ინტერნეტ-ული ვერსია)

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაში, აგრარულ სფეროს მნიშვნელოვნი ადგილი უჭირავს, მაგრამ არსებობს გარკვეული პრობლემები. რომლის მოგარებისათვის სახელმწიფო და ამ სფეროს წარმომადგენლები ცდილობენ მოძებნონ გზები მათ დასარეგულირებლად. სადაც წამყვან ადგილს დაიჭირს მარცვლეულის, კერძოდ ხორბლის წარმოება. მისი ბაზრის განვითარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია სუბსიდირებას. საქართველოში მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ხორბლის მწარმოებელი და გადამტუშავებელი დარგები არსებობას და, მაშაადამე, მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების პროდუქტით მომარაგებას. ხორბლის წარმოების უფლების მისაპოვებლად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროდუქტი მსოფლიო ბაზარზე იყოს კონკურენტუნარიანი. თუ ხორბლი კონკურენტუნარიანი არ არის, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ხელოვნურად—სუბსიდირების გზით.

დასკვნა. ამრიგად, საქართველოსთვის ხორბლის ბაზრის განვითარება ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას, ხელსაყრელი პირობების შექმნას ხორბლის მწარმოებელთათვის კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მათი ინტეგრაციისათვის, რაც წარმატებული საქმიანობის გარანტიას შექმნის

აგრარული სფერო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილის შეტანით, საგარეო ვაჭრობიდან მიღებული წმინდა შემოსავლის, დასაქმებისა და სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით. აგროსფეროში ინვესტირება ეს არის ქვეყნის მომავალში ინვესტირება. საარსებო გარემოს შეცვლა, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. მაგრამ არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ დღესდღეობით სოფლის მეურნეობის წვლილი გაცილებით მნიშვნელოვანია, უბრალოდ მას განვითარების დაწყება დაბალი დონიდან უწევს. რაც კომ-

პლექსურ მიდგომას მოითხოვს. მის განვითარებაში ჩართულები არიან ფერმერები და მთავრობა, მაგრამ საჭიროა მთლიანი საზოგადოების ჩართვაც, რადგან მოულოდნელმა პანდემიამ კიღევ უფრო გაართულა სასურსათო სისტემების წინაშე არსებული მდგომარება. სისტემა დადგა რთული ამოცანების წინაშე და გამოიკვეთა რომ, ქვეყნებმა თავად უნდა აწარმოოს სასურსათო თუ სხვა სტრატეგიული დანიშნულების პროდუქცია და გაზარდონ ქვეყნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები. უნდა მოხდეს ხორბლის ბაზრის ფორმირება და დარეგულირდეს ხელშემშლელი პრობლემები. კერძოდ

1. მოხდეს მარცვლეულ კულტურებზე ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება.

2. ამოქმედდეს მარცვლეულის წარმოების განვითარების სახელმწიფო პროგრამები,

3. ამოქმედდეს ფერმერთა სუბსიდირებისა და ექსპორტის წახალისების სისტემა,

4. მოხდეს ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების ჩამოყალიბება.

ფერმერული მეურნეობები დღეს ძალზე მცირეა. მცირეა წარმოების მოცულობები, დიდია დანახარჯები და რეალიზაციით მიღებული შემოსავლები მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს, გაფანტულია და არაორგანიზებულად გამოიყენება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, გართულებულია პროდუქციის აღრიცხვა, შეუძლებელია ხარისხზე კონტროლი და სხვა.

პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სახელმწიფო შეკვეთები, განვითარდეს აგრობირჟები, საბითუმო ვაჭრობა. სასურველია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სასაწყობო მეურნეობებისა და წისქვილკობინატების ამოქმედებას, შეღავათიანი კრედიტებით. ეს განაპირობებს ხორბალზე მაღალ საბაზრო ფასს, რაც თავის მხრივ დამატებითი შემოსავლებისა და ინვესტიციების მიღების წყარო იქნება; ადგილობრივი ბაზრის საკუთარი პროდუქტებით გაუჯერებლობა, ბუნებრივია, იმპორტის გადიდების აუცილებლობას იწვევს. ექსპორტ-იმპორტის მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, ხორბალზე ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმპორტის ხარჯზე ხდება. შესასწავლი ბაზრის სტრუქტურაში 80%-ზე მეტი იმპორტული პროდუქციაა. ბოლო წლებში ხორბლის მოსავლანობა საქართველოში არათანაბარია, მაგრამ მეტნაკლებად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2015-2016 წლებში დაფიქსირდა ბოლო ათწლეულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი-ერთ ჰექტარზე 2,6 ტონის ოდენობით. ამის მიუხდავად,

ხორბლის საპექტარო მოსავლიანობა ქვეყანაში უფრო დაბალია ვი-დრე დანარჩენ მსოფლიოში. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველო ხორბალზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ბოლო წლების მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 8-18 %-ის ფარგლებში მერყობდა და საქართველოში, სადაც სასურსათო ხორბალზე მოთხოვნილება 650-700 ათას ტონას შეადგენს, შეინიშნება ნათესების შემცირების ტენდენცია, რაც დარგისადმი უყურადღებობით შეიძლება აიხსნას. მაგრამ საჭიროა ხორბლის ბაზრის განვითარების საფუძველი გახდეს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის დამკვიდრება;

ხორბლის ბაზრის განვითარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია სეუბიძირებას. საქართველოში მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ხორბლის მწარმოებელი და გადამზუშვებელი დარგები არსებობას და, მასშისადამე, მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების პროდუქტით მომარაგებას. ხორბლის წარმოების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროდუქტი მსოფლიო ბაზარზე იყოს კონკურენტუნარიანი. თუ ხორბალი კონკურენტუნარიანი არ არის, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ხელოვნურად –სუბსიდირების გზით.

უერმერთა გათვლებით და შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაძლებელია 120 ათას ტონაზე მეტი ხორბლის წარმოება, რაც საკუთარი წარმოების პურპროდუქტებზე ხელმისაწვდომობას მინიჭებ 6 თვემდე მაინც გაზრდის; ეს გამოიწვევს სასოფლო-სამურნეო პროდუქტების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების 18- 20%-მდე გადიდებას. შესაბამისად ქართული ხორბლის საფასო კონკურენტუნარია რთული იქნება. როგორც ჩანს, საქართველომ კონკურენტრიება ნიშური, ხარისხიანი ხორბლის წარმოებაზე უნდა მოახდინოს ევროკავშირის ბაზრებზე გაყიდვის პერსპექტივით. ქართული ხორბლის საერთაშორისო, მათ შორის ევროპის ბაზარზე, გატანა საკმაოდ შეზღუდულია სათანადო სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დაუცველობის გამო. კონკურენციის ერთ-ერთი შემზღვდავი ფაქტორია, ასევე პროდუქტის დივერსიფიკაციის დაბალი დონე, რაც ძირითადად გამოწვეულია მცირებიშვიანობითა და დანაწევრებული ნაკვეთების არსებობით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გამოიწვევს ხორბლის მცირე მოცულობით წარმოებას. ხორბლის საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტიორებისგან პროდუქტის დიდი მოცულობების სტაბილურ მიწოდებას ითხოვნ, რასაც ქართული ხორბლის მწარმოებლები ვერ აკმაყოფილებენ. ამ პროცესის მოწესრიგება შესაძლებელია ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივების

განვითარებით. კომპერატივის არსებობა, ცალსახად გაადვილებს მომწოდებელთან ურთიერთობას.

დასკვნა. ამრიგად, საქართველოსთვის ხორბლის ბაზრის განვითარება ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკის წისვლას, ხელსაყრელი პირობების შექმნას ხორბლის მწარმოებელთათვის კომპერატივების ჩამოყალიბებისა და მათი ონტეგრაციისათვის, რაც წარმატებული საქმიანობის გარანტიას შექმნის.

გმოყენებული ლიტერატურა.

1. ურნალი – აგრარული საქართველო 2020 20.05
2. წყარო: faostat (2017 წლის 4 ივლისის მონაცემებით)  
საქსტატი (2017 წლის 4 ივლისის მონაცემებით)

## The opportunities for the development of the wheat market

**Manana Shalamberidze-**

Akaki Tsereteli State University

Associate Professor,

**Zeinab Akhaladze-**

Akaki Tsereteli State University

Associate Professor

### Abstract

(Internet version)

In the economic development of Georgia, as well as in the economic success of any country, the agro sector occupies an important place, but there are some problems. To solve which the state and the representatives of this field are trying to find ways to regulate them. Where the leading place will be taken by the production of cereals, in particular wheat, and subsidies can play a special role in the development of the market. Only in this way will wheat production and processing industries be able to exist in Georgia and, therefore, supply the population with locally produced products. In order to gain the right to produce wheat, it is necessary for the product to be competitive in the world market. If wheat is not competitive, it can be achieved artificially through subsidies.

Conclusion. Thus, the development of the wheat market for Georgia means the growth of the country's economy, the creation of favorable conditions for wheat producers to establish cooperatives and their integration, which will guarantee a successful business.

# 3. ქვეპის მრავალობა Food Industry

---

ჰიდრატოპექტინის გამოყენება რძემჟავა  
პროდუქტებში

ე. ედიბერიძე—  
ტექნოლოგის აკადემიური  
დოქტორი,  
ლ. კოტორაშვილი—  
ტექნოლოგის აკადემიური  
დოქტორი,  
მ. ორმოცაძე—  
ტექნოლოგის აკადემიური  
დოქტორი,  
ნ. ლომსაძე—  
მიკრობიოლოგი

## რეფერატი (ინტერნეტ-ული ვერსია)

დამუშავებულია რძემჟავა პროდუქტების კონსისტეციისა და  
მდგრადობის გასაუმჯობესებლად მათში დანამატის სახით ჰიდრა-  
ტოპექტინის (ყურძნის გადამუშავების ნარჩენებიდან მიღებული)  
გამოყენება. ყურძნის პექტინოვანი ნივთიერებები სხვა სამრეწველო  
ნივთიერებებიდან მიღებული პექტინებისგან განსხვავდება დაბალი  
მეტოქსილიორების ხარისხით და ამიტომ ყურძნის გადამუშავების  
ნარჩენები წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს სამკურნალო-  
პროფილაქტიკური დანიშნულების ექსტრაქტების დასამზადებლად.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილობრივი ნედლეული რესუ-

რსების გამოყენა ბაზაზე ძლიერი სამრეწველო პოტენციალის შექმნა.

რძემუავა პროდუქტები ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანების, ბავშვებისა და ხანდაზმულების კვების რაციონის მნიშვნელოვანი და საჭირო კომპონენტებია, ისინი ხასიათდებიან დიეტური და სამკურნალო თვისებებით.

აღსანიშნავია, რომ რძემუავა პროდუქტები ფაქტობრივად საკვების ერთადერთი სახეობაა, რომლის მეშვეობით ადამიანი იღებს დიდი რაოდენობით მიკროორგანიზმების ცოცხალ სასარგებლო კულტურებს - ბაქტერიებს.

ცნობილია, რომ რძემუავა ბაქტერიები გამოყოფენ რძემუას, რომელიც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის პროცესების ნორმალურად წარმართვას, ახშობს კუჭნაწლავის მავნე მიკროფლორის განვითარებას და სპობს ლპობის ბაქტერიებს.

სასმელი იოგურტი რძემუავა პროდუქტია, რომელიც მზადდება ნატურალური ან აღდგენილი ნორმალიზებული, პასტერიზიზებული რძისაგან თერმოფილური რძემუავა სტრეპტოკოკისა და ბულგარული ჩხირის სუფთა კულტურაზე დამზადებული დედოს გამოყენებითა და ხილ-კენკროვანი ნატურალური წვენების დამატებით.

დაბალცხიმიანი, სხვადასხვა გემური და ხილის შემავსებლებით რძემუავა სასმელების ასორტიმენტის წარმოების გაფართოება შეუძლებელია მათი ხარისხის და მდგრადობის ამაღლების გარეშე შენახვის პერიოდში.

იოგურტი, ისევე როგორც სხვა რძემუავა პროდუქტები, შენახვის დროს მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ცვლილებების გამო კარგავს თავის პირვანდელ თვისებებს: ვითარდება მიკროფლორა, მატულობს მჟავიანობა, გამოიყოფა შრატი, რაც საბოლოო ჯამში იწვევს პროდუქტის კონსისტენციის გაუარესებას, იოგურტის ხარისხის მდგრადობისა და შესაბამისად შენახვის ვადის გაზრდის მიზნით გამოყენებული იქნა ჩვენს მიერ წარმოებული ჰიდროპექტინი, რაც საშუალებას იძლევა ნაკლები დანახარჯებით გაუმჯობესდეს იოგურტის ხარისხსი და გაიზარდოს მისი შენახვის ვადები.

პექტინოვანი ნივთიერებები მაღალმოლეკულური პოლისაქარიდებია, რომელებიც სხვადასხვა ფორმით ( ხსნადი და უხსნადი) მოიპოვება თითქმის ყველა მცენარეში, შაქრებისა და ორგანული მჟავების თანაობისას მათ გააჩნიათ ლაბის წარმოქმნის უნარი და ასრულებენ ემულგატორ-შემასქელებელ ფუნქციას, აგრეთვე მათ გააჩნიათ კომპლექსწარმომქმნელი თვითსებები, ადამიანის ორგაიზმიდან მძიმე მეტალების, რადიო-აქტიური ნივთიერებებისა და სამკურნალო საშუალებების ნარჩენების გამოტანის უნარი.

ყურმნის პექტინოვანი ნივთიერებები სხვა სამრეწველო ნივთიერებებიდან მიღებული პექტინებისგან განსხვავდება დაბალი მეტოქსილირების ხარისხით და ამიტომ ყურმნის გადამუშავების ნარჩენები წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ექსტრაქტების დასამზადებლად. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჰიდროპექტინის უპირატესობა მშრალ პექტინთან შედარებით მდგომარეობს მის დაბალ თვითღირებულებაში და ტექნოლოგიურად უფრო მარტივია მის კვების პროდუქტებში გამოყენება. შევისწავლეთ ჰიდროპექტინის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები, მათი გავლენა რძეზე, რძემჟავა პროდუქტების ფიზიკო-ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებზე. ზუსტდებოდა იოგურტის წარმოქმნის ტექნოლოგიური პარამეტრები ჰიდროპექტინის გამოყენებით და აგრეთვე მათი შენახვის ვადები.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ჰიდროპექტინის დამატება რძემჟავა სასმელის ცილების სტაბილიზაციისათვის უნდა მოხდეს შედედებულ რძეში, ამ დროს ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა ჰიდროპექტინის დამატება წინასწარ გამდნარ ხილ-კენკროვან ან შაქრის ვაჟინში, რომელიც ემატება რძემჟავა სასმელს დანამატის სახით, ჰიდრატოპექტინის განსაზღვრული რაოდენობა ( $0,3$ - $0,5\%$  წარმოებული მასის) შეგვაქვს ხილ-კენკრის ან შაქრის ვაჟინში (სახაროზის შემცველობა 66%), რომელიც უნდა დაემატოს იოგურტს, კარგი არევის შემდეგ ვაჟინს აცხელებენ  $80^{\circ}$  ტემპერატურამდე 5-6 წუთის დაყოვნებით აცივებენ შენადედის

ტემპერატურამდე (40+2)0°C და შეაქვთ შედედებულ რძეში, რომელიც განკუთვნილია იოგურტისთვის.

იოგურტის წარმოება ხილ-კევროვანი ვაჟინით და ჰი-დროპექტინით ხდება რეზერვუარული ხერხით.

ამრიგად, ჩვენს მიერ დამუშავდა იოგურტის წარმოების ტექნოლოგია ჩვენს მიერვე მიღებული ჰიდროპექტინის გამოყენებით.

იოგურტში ჰიდროპექტინის დამატებამ 0,3-0,5 %-ის ოდენობით გააუმჯობესა მისი ორგანოლეპტიკური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, გაახანგრძლივა შენახვის ვადა და იძლევა საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს.

#### ლიტერატურა:

1. კვების პროდუქტების ტექნიკური მიკრობიოლოგია ე. ედიბერიძე, ნ. ლომსაძე; [ რედ. ნ. ბეგიაშვილი ].- ცენტრალური ბიბლიოთეკა საცავი 01663.1(02) / 6 990094
2. რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიური და ქიმიური კვლევის მეთოდური მითითებები ე. ედიბერიძე, ნ.ლომსაძე ; [ რედ. ქ. ხომასურიძე ].
3. რძე და რძის პროდუქტების ტექნოლოგია: ე. ედიბერიძე, ნ. ლომსაძე ; [ რედ. ქ. ხომასურიძე ].
4. Givens I. (Ed.) Milk and Dairy Foods: Their Functionality in Human Health and Disease-Academic Press, 2020. — 427 p. — ISBN 978-0-12-815603-2.

# **Use of hydratopectin in lactic acid products**

E. Ediberidze -

Academic Doctor of Technology,

L.Kotorashvili -

Academic Doctor of Technology,

M.Ormotsadze -

Academic Doctor of Technology,

N. Lomsadze -

Microbiologist

## **Abstract**

### **(Internet Version)**

Hydratopectin (obtained from grape processing waste) has been treated as an additive to improve the consistency and stability of lactic acid products. Grape pectin differs from pectins derived from other industrial substances in the degree of low methoxylation, and therefore grape processing waste is the best raw material for the preparation of therapeutic-prophylactic extracts.

## 4.საკონსულტაციო დარბაზი Consulting hall

### სოფლის მეურნეობა კითხვებსა და პასუხები

1. ხშირად კითხულობენ და ბევრს აინტერესებს მეცნიერთა შეფასება თუ რა ეტაპზე იმყოფება საქართველოს ეკონომიკა.

ეს კითხვა, ერთი შეხედვით მარტივი და ადვილად ასახსნელია, მაგრამ იგი ძალზე საინტერესოა და საცმალ როგორი. ამასთან დაკავშირებით ასეთ განმარტებას მოგცემთ:

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ჩვენთან საბაზო ეკონომიკამ დაიწყო ფეხის აღმა, მას დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. ქვეყნას გაუჭირდა ძველი სტერეოტიპების ნგრვა და ახალი მიმართულებების გაგება. საბაზო ეკონომიკას სჭირდებოდა გარდამავალი პერიოდის რბილად გავლა. ჩვენთან კი, ჩვეულ ამბიციურობაზე დაყრდნობით ხელი მიჰყვეს ე.წ. „შოკურ თერაპიას“ ეკონომიკაში. ასეთი რამ თვით განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი მიუღებელია, არათუ ჩვენი ქვეყნისთვის, სადაც სამისო მყარი ეკონომიკური საფუძველი არც კი არსებობდა.

შემდეგ მოხდა ისე, რომ შოკურ თერაპიაზე მორგებული გარდამავალი პერიოდი გაიწელა და გაიზღანა, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო. ეგ კი არადა, ზოგი ახლაც-ოცდათი წლის შემდეგ, ხმარობს ფრაზას: გარდამავალი საბაზო ეკონომიკა და ველარ გარკვეულა რა არის ეს გარდამავალი პერიოდი, სად იწყება და სად მთავრდება.

ასეთი აზროვნება მიუღებელია. გარდამავალი პერიოდი დამთავრდა და დამთავრდა ისე, რომ ვერც კი გავიგეთ რა მოხდა. აქ საჭიროა პრინციპული ხასიათის განმარტება:

სართოდ საბაზო ეკონომიკის ხმარება არ არის მართებული. თუ მაინცადამაინც გვინდა ამაზე გაპეოდეს აქცენტი სჯობს ვთქვათ: „საბაზო ურთიერთობები“.

იბადება კითხვა. რატომ ავირჩიეთ ეს სიტყვა-ბაზარი და რატომ გვინდა მისი ასე ხშირად და არასწორ კონტექსტში ხმარება?

ბაზარი ეს არის მარკეტინგული გარემო, მარკეტინგული ურთიერთობები, რომლის დროსაც ყიდვა-გაყიდვის ფენომენი გამოდის წინა პლანზე და ეკონომიკური ურთიერთობებიც მასშეა აგებული.

ღრმა ეკონომიკური გაგებით ახლა ჩვენ ვიმყოფებით ბიზნესური ეკონომიკის ეტაპზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები მოგებაზე ორიენტირებულადაა აგებული (უნდა იყოს აგებული). იგი მოიცავს მარკეტინგულ კომპლექსს, გამართულ მენეჯმენტს, სახელმწიფო რეგულირების სისტემას, მეცნიერულ ბაზას და ამასთან დაკავშირებულ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ელემენტებს (სოციალურ ორიენტირებას).

აქვე უნდა გავავლო პარალელი და ვოქვა, რომ არამცდაარამც არ შეძლება დღევანდელ ეტაპზე ვიზმაროთ ფრაზა „აგრო-სამრეწველო კომპლექსი“. ასეთ რამ კარგა ხანია არ არსებობს. ის. თავის დროზეც მექანიკურად დაკავშირებული დარგების ნაკრებად იყო მიჩნეული.

ამრიგად, ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით ბიზნესური ეკონომიკის ეტაპზე და მის გლობალურ წრედში, თუმცა საქართველოსათვის მას ჯერ არ მიუღია საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმა და სახე, ჯერ არ არის გარკვეული პრიორიტეტულად მისაღები მოდელი, ჯერ არ გაგვაჩნია საამისო, მდგრადი ეკონომიკური მექანიზმი.

ამდენად, ეს ეტაპი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული, რაც უცილობლად მოითხოვს მეცნიერულ დასაბუთებებს, მეცნიერულად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული პერსაქტიული მიმართულებების დამუშავებას.

ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ უგულებელყოფილია და ყურადღება არ ექცევა მეცნიერებას, და, ქვეყანაში, სადაც მეცნიერება არ ვითარედება ვერც შეიქმნება მდგრადი ეკონომიკა და იგი სულ ასე ფეხათრევითა და წელგაუმართავად ივლის.

ეკონომიკა შველას ითხოვს, ჩვენ კი მისთვის თითქოს არ გვცალია, არ გვესმის მისი გულისცემა და ამით ჩვენს თავს ვაყენებთ ზიანს და ჩვენ, ჩვენივე თავის მტრები გამოვდიგართ.

## 2. რა გზით უნდა განვითარდეს ჩვენი სოფლის მუშრობა.

ამ პრობლემაზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება და უნდა გითხრათ ისიც, რომ თითქოს არც ეს პრობლემა აწუხებს ვინმეს. ესეც იმის ბრალია, რომ აგრარული მეცნიერება სულ უკან და უკან მიდის, რადგან არა აქვს ხელშეწყობა მთავრობის მხრიდან. აბა როგორ შეიძლებოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფაქტო-

ბრივად დაშლა. იცით, როგორ არის მიჩნეული მთელ მსოფლიოში? მომავალში განვითარდება ის ქვეყანა, სადაც იქნება ცოდნის ეკონომიკა, ანუ სხვა სიტყვებით, ინოვაციური ეკონომიკა და ინოვაციური ბიზნესი. ეს, სხვა არაფერია თუ არა იმის აღიარება, რომ აუცილებელია მეცნიერების განვითარება. საქართველოსათვის კი მსოფლიო ბაზარზე, მსოფლიო ბიზნესში გაღწევის ყველაზე მეტი შანსი მეცნიერებაში დევს.

ასლა, მოკლედ იმას გეტყვით თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი სოფლის მეურნეობა.

უპირველეს ყოვლისა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს და გამოიყოს პრიორიტეტული და სტრატეგიული დარგები და მათი განვითარების ქარგზე უნდა აიგოს დანარჩენი დარგების განვითარება.

ჩვენ, გვინდა თუ არა, ადგილობრივი ნიადაგურ-ქლიმატური და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, პრიორიტეტულ დარგებად კვლავაც უნდა ვაღიაროთ მევანახეობა და მის ბაზაზე მომუშავე ღვინის მრეწველობა, მეხილეობ-მეციტრუსეობა და მის ბაზაზე მომუშავე საკონსევო მრეწველობა, მეჩაიერია და მის ბაზაზე მომუშავე ჩაის მრეწველობა.

პრიორიტეტი უნდა მიეცეს აგრეთვე მემარცვლეობას, მებოსტნეობას და ამ დარგებთან შეთანაწყობილ მეცხოველეობას, მიკროზონალური პრინციპების შესაბამისად.

კომენტარის გარეშე ვიტყვი, რომ დიდი შეცდომაა მეჩაიეობის დარგისადმი უყურადღებობა. ეს დარგი თვალსა და ხელს მუა ქრება. ამის დაშვება დიდი ეკონომიკური სიბეცეა და დროზე თუ არ გამოვჭინაზღდით ამას გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება.

საქართველოში არსებულ ნიადაგურ საფარში მყოფი წითელმიწები, ყვითელმიწები, ეწერ-ტიპის ნიადაგები და საერთოდ მუკერეაქციის მქონე ნიადაგები ზედგამოჭრილია მეჩაიეობისა და მეციტრუსეობისათვის. ამ ნიადაგებზე, ძალიანაც რომ მოვანდომოთ ხორბლეული ვერ ივარგებს. ამიტომაც, ეს ბუნებრივი პოტენციალი გონივრულად უნდა გამოვიყნოთ და ეს პრობლემა არ უნდა ჩავაგდოთ დილექტანტი ხელმძღვანელის ხახაში. პარალელს გავავლებ და ვიტყვი, რომ კოლხეთის დაბლობის დასაშრობად მილიონიბით დოლარი რომ დავხარჯოთ იქ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიხარებს ხორბალი.

მოკლედ იმის შესახებაც გეტყვით, უნდა შემოვიტანოთ თუ არა მაღალმოსავლიანი პიბრიდები. ამის აკრძალვა არ შეიძლება, თუმცა ამ საკითხმა არ უნდა გაგვიტაცოს, მითუმეტეს, რომ პიბრიდი ჯიში

არ არის და მას მხოლოდ ერთი წლის ისტორია აქვს. იგი წარმოადგენს მახეს, რაც იმისკენ გვიმიზნებს, რომ დამოკიდებულები ვიყოთ იმ ქვეყნებზე საიდანაც ამ პიბრიდებს შემოვიტან.

საქართველოში დარაიონებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, განსაკუთრებით ხორბალს, დიდი ჯიშობრივი პოტენციალი გააჩნია, რაც ადგილობრივ პირობებზეა მორგებული და ის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ცალკე, დიდი პრობლემაა ის, თუ როგორ უნდა განვითარედეს ფერმერული მეურნეობები და იმ ფორმით როგორიც ახლა გვხვება უნდა შევინარჩულოთ თუ არა, ეს რთული საკითხია, რასაც მეცნიერული კვლევა სჭირდება. მინიშნებით კი უნდა ითქვას, რომ ნუ გადაგვავიწყდება კოოპერირებისა და ინტეგრაციის დიდი ძალა და შესაძლებლობები.

**ამჟამად**, კოვიდ ვირუსის გავრცელების გამო, საქართველოს მრავალდაროვანი სოფლის მეურნეობა ახალი რეალობების, გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დადგა, რაც ეფუძნება ერთის მხრივ უნიკალურ და წმირ შემთხვევაში ზონალურად მკვეთრად განსხვავებულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და მეორეს მხრივ იმას, რასაც განაპირობებს ქვეყანაში შექმნილი დიდი წინააღმდეგობები მისი თითოეული დარგის გაძლილასა და განვითარებაში. ეს უპირატესად აისახება მატერიალურ-ტექნიკური და განსაკუთრებით შრომითი რესურსების დაბალ პოტენციალში და მისი გამოყენების შეზღუდულობაში, სასურსათო უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელ უზრუნველყოფაში, ამასთან გაპირობებულია ახალი, პროგრესული, უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენების, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის მიღწევის აუცილებლობით.

ასეთი, ფუნდამენტური მოთხოვნების დაცვისა და რეალიზაციის გარეშე მომავლის სოფლის მეურნეობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებზე მორგებული, მარკეტინგულად გააზრებული მოდელი ვერ იქნება აგებული და მულტეველი დარჩება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, წარმოების რაციონალური განვითარება.

მომავლის სოფლის მეურნეობა სრულიად ახლებურად უნდა იქნეს გაგებულ-ახსნილი. იგი, პროგრამირებულ სოფლის მეურნეობად უნდა იქცეს და ამ პრინციპს უნდა მოერგოს როგორც მისი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ასევე მათ სარეალიზაციოდ გამიზნული კომპლექსური ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რაც, ახლა, სოფლის მეურნეობის მდგრადი და სტაბილური განვითარების

პრიორიტეტის განმსაზღვრელია, უწინარეს ყოვლისა აუცილებელი ხდება შეიცვალოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია (დარგობრივი სტრუქტურა) იმ თვალსაზრისით, რომ ამაღლდეს მემარცვლეობის, განსაკუთრებით მეხორბლეობის ხვედრითი წილი. ამჟამად, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მემარცვლეობას (მეხორბლეობას, მესიმინდეობას და სხვა) თუ უკავია 11,8%, ახალი პროგნოზული გათვლებით (2025 წლამდე პერიოდში) იგი უნდა ამაღლდეს 14-15 %-მდე. თვალსაზრისი პერსპექტივაში ხორბლის ნათესა, 43,1 ათასი ჰექტარის ნაცვლად უნდა დაიკავოს 125,0 ათასი ჰა. სიმინდისამ-72,8 ათასი ჰექტარის ნაცვლად 131,0 ათასი ჰა.

თუ გავითვალისწინებთ და მხედველობაში მიღიღებთ მაღალ და ინტენსიურ ტექნოლოგიებს, სელექციისა და გენეტიკის მიღწევებს (შედეგად მოსავლიანობის ამაღლებას), ხორბლის წარმოებამ 107,1 ათასი ტონის ნაცვლად უნდა მიაღწიოს 500,0 ათას ტონას, სიმინდისამ 194,2 ათასი ტონის ნაცვლად 890,8 ათას ტონას. ეს საშუალებას მოგცემს, ადგილობრივი მოსახლეობის თვითუზრუნველყოფა მარტო ხორბალზე ამჟამინდელი 22,6 %-იდან ამაღლდეს 105,1 %-მდე.

იმ შემთხვევაში თუ სასწრაფოდ გატარდება ტექნოლოგიის სრულყოფის სახელმწიფოებრივი ღონისძიებები (რაც, ფართობის რეალურად შესაძლო ზრდასთან ერთად, უპირატესად გულისხმობის მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების დანერგვას), წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორების რეგულირებულ და მკაცრად მიზნობრივ გამოყენებას, მოსავლის დანაკარგებათან ბრძოლას, პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების სისტემის მოგვარებას) ამ პერიოდმა (2025 წ) შეიძლება 2023 წლისთვის გადმოიწიოს.

მეორეს მხრივ, პროგნოზული გათვლებით, ხორბლით თვითუზრუნველყოფა ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის, 2025 წლისთვის, მიაღწევს 45.1 %, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ვიზიტორებსაც, მიაღწევს მხოლოდ 31.7%. მაგრამ ტურისტებისა და ვიზიტორების მზარდი რიცხოვნობის გათვალისწინებით, თვითუზრუნველყოფა ამ პროდუქციაზე 50-55 % ზე მეტად ვერ ამაღლდება. ასე, რომ ამ თვალსაზრისით (ტურისტებისა და ვიზიტორების გათვალისწინებით) საქართველო, ხორბლის იმპორტზე მაინც იქნება დამოკიდებული.

თავისთავად, ტურიზმიდან, დამსვენებელთა, სამკურნალო კერძოში მყოფთა და ვიზიტორების მხრიდან შემოსული შემოსავლებით შესაძლოა დაიფაროს ის ხარჯი რაც ხორბლის იმპორტს დასჭირდება, თუმცა ამაზე ორიენტაცია არ არის გარანტირებული და

საიმედო, და მასზე დაყრდნობა არც შეიძლება. ეს, მხოლოდ ერთი შეხედვით (თეორიულ-მეცნიერული) პასუხობს მარკეტინგულ მოთხოვნებს. თანამედროვე შსოფლიოში ამის უტყუარი გარანტია თითქმის აღარ არსებობს.

ამიტომ, ჩვენ არ უნდა გამოვედევნოთ და არ უნდა გაგვიტაცოს ადგილობრივი წარმოების ხორბლით სრულად თვითდაკამაყოფილების (ტურისტებისა და ვიზიტორების ჩათვლით) კონცეფციაშ და პრაქტიკული თვალსაზრისით აქცენტი უნდა გავაკეთოთ და ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ ის გზა, რომელსაც თვით ბუნება გვთავაზობს და გვკარნახობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად და აგრობიოლოგიურად ვარგისი სახორბლე ნაკვეთები უნდა დაიკავოს მხოლოდ ხორბალმა, სასიმინდე-სიმინდმა, საგნახე-ვენახმა; სახეხილე-ხეხილოვნებმა კულტურებმა და ისიც შერჩევითა და გამოზომილად: თესლოვნებმა, კურკოვნებმა, კაკლოვნებმა, კენკროვნებმა; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის ვარგისი ფართობები-სწორედ ამ კულტურებმა; საბოსტნე-საბაღჩე-ბოსტნეულ-ბაღჩეულმა; საკარტოფილე-კარტოფილმა; საბაღახე-სათიბ-საძოვრებმა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთი განლაგება და განაწილება ბუნების დაუწერელი კანონია და თუ ამ წესრიგს დავუკერებთ და მიყვებით, მას ზედიწევნით მოერგება და შეეთანაწყობა მთელი ტექნოლოგიური არსენალი და პოტენციალი, შესაბამისად საწარმოო ინფრასტრუქტურა და საბოლოო შედეგად წარმოების მაღალი ეკონომიკური უკუგება.

მომავალ ორ სამ წელიწადში, ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზით ყველაზე მთავარი და გამორჩეული პრიორიტეტი მიმართულების-ხორბლის წარმოების სტაბილურობისა და მდგრადობის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარცვლეული მეურნეობის განვითარების სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

**საერთო**, უახლოეს წლებში, სოფლის მეურნეობის მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელი და გადაუდებელია ისეთი ღონისძიებების გატარება როგორიცაა:

➤ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩატარდეს მიწის რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი, რაიონულ და საწარმოთა დონეზე აღრიცხვა და დადგინდეს მათი მიწათმოსარგებლეთა მიზედვით განაწილების მდგომარეობა. ეს არის საფუძველთა საფუძველი სოფლის მეურნეობის სწორი და გამართული განვითარებისათვის და ამ მიმართულებით დასახულ კომპლექსურ ღონისძიებათა გასატარებლად;

➤ უნდა შემუშავდეს პერსპექტიული დარგის-მეჩაიეობის (ადრე მაპროფილებელი), აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, მისი უზრუნველყოფის ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმის ასახვით. ამის აუცილებლობა დასტურდება დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული წითელმიწა, ყვითელმიწა და ეწერ-ტიპის ნიადაგებით, რომელიც დღეს არაეფექტურად არის გამოყენებული და მისი სამუშაო პოტენციალის მაქსიმალური ათვისება მხოლოდ მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის გავითარებითა შესაძლებელი;

➤ ასეთივე სახელმწიფოებრივი პროგრამები უნდა დამუშავდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების: მეხილეობისა და მევრცხეობის, აგრეთვე საადრეო მებოსტნეობის, სასახლეო მებოსტნეობისა და საადრეო მეკარტოფილეობის მიხედვით, მათი კვების მრეწველობასთან ინტეგრირებული (შეთანაწყობილი) განვითარების გათვალისწინებით;

➤ საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მეაბრეშუმეობა. ამ დარგს, საქართველოში, განვითარების დიდი ტრადიციები გააჩნია, თუმცა, უკვე რამდენიმე ათეული წელია არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამ მხრივ კი ფართო შესაძლებლობები არსებობს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც შესაძლებელია გაშენდეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგბებული თუთის პლანტაციები. ეს აუცილებელს ხდის დამუშავდეს მეაბრეშუმეობის აღდგენა-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა. ამას საფუძვლად უნდა დაედოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხაზით მომზადებული უუნდამენტური ნაშრომი მეაბრეშუმეობის განვითარებისა და აღდგენა-რეაბილიტაციის შესახებ;

➤ თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში ქართული ფუტკრის ფენომენის აღიარებას, პერსპექტიულ და დიდი შესაძლებლობების დარგად ითვლება მეფუტკრეობა, რომელსაც გავრცელების საკმაოდ ფართო არეალი გააჩნია. ამის შესაბამისად, ასევე აუცილებელი ხდება მეფუტკრეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამის შემუშავება;

➤ უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები სატბორე მეთევზეობის განვითარების შესახებ. საქართველოში ამ დარგის განვითარების დიდი შესაძლებლობები არსებობს, რასაც განაპირობებს ბუნებრივი ტბებისა და წყალსაცავების ფართო ქსელი;

➤ თბილისის საგარეუბნო ზონაში და ქვეყნის მსხვილი რეგიონები ცენტრების (ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი და სხვა) სიახლოეს, ექონომიკურად და სტრატეგიულად გამართლებულია შეიქმნას მერძე-

ულ-მეხორცული ტიპის მესაქონლეობის სახელმწიფო კომბინატები და მეკვერცხულ-მეხორცული ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკები, სადაც განთავსდება ჯიშობრივი პირუტყვი (ფრინველი) და რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და უახლესი, ელექტრიფიცირებული ტექნოლოგიებით. ასეთი კომბინატები (ფაბრიკები) ინტეგრირებული უნდა იყოს კვების მრეწველობასთან და იქ ერთიან ციკლში უნდა მოექცეს პროდუქციის წარმოება, გადამუშავება (მ.შ. ექსპრეს-გადამუშავება), შენახვა (მ.შ. სამაცივრო), რეალიზცია. მათ უნდა გააჩნდეთ საკვლევი სამსახური, სპეციალური (ქიმიურ-ტექნოლოგიური) ლაბორატორია, მონიტორინგისა და მარკეტინგული სამსახურები, საკუთარი საბაზრო სეგმენტები. ასეთი მიღების რეალიზაციას მომავლის სოფლის მეურნეობა მოითხოვს, რაც აამაღლებს სახელმწიფოს როლსა და ფუნქციას ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში;

გადაუდებელია ისეთი პრობლემის გადაწყვეტა როგორიცაა მთანი რაიონების განვითარების სტრატეგიული მიმართულებებისა და ღონისძიებების შემუშავება, რომელშიც ასახება მათი, ბარის რაიონებთან შესაძლო ინტეგრაციის ღონისძიებები, ეკონომიკური ბერკეტების მორგებულ გამოყენებაზე დაყრდნობით. ამ სამუშაოების მთავარი ორიენტირი და მოტივაცია უნდა იყოს მოსახლეობის სოციალური მდგრამარეობის გაუმჯობესება, მიგრაციული პროცესების შერბილება და ეკონომიკური ზრდა. მთანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დროული გადაწყვეტა მთელი საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, გლობალური ტიპის ამოცანაა.

აღნიშნული სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებების თანმიმდევრული რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს სწრაფად გამოვიდეთ არსებული და უახლეს ხანს კვლავ მოსალოდნელი (დასაშვები) კრიზისიდან და საქართველოს სოფლის მეურნეობამ შეძლოს საწარმოო-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენების გზით ეკონომიკური ზრდის თანდათანობით უზრუნველყოფა.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი**

## მდგრადი განვითარება—მსოფლიო გლობალური პროგლობა

ომარ ქეშელაშვილი—  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი,  
**გოჩა ალექსიძე—**  
დოქტორანტი,  
მარიამ ქეშელაშვილი—  
ბაკალავრი,  
**ნათა სილიკაშვილი—**  
მაგისტრი,  
**ომიკო ქეშელაშვილი—**  
მაგასტრანტი,  
**ქეთევან სილიკაშვილი—**  
ბაკალავრი,  
**გივი ჯაფარიძე—**  
ბაკალავრი

ახლა, კაცობრიობა ახალი, გლობალური პრობლემებისა და  
ამოცანების წინაშე დგას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ბუნებაზე სამეურნეო ზე-  
მოქმედებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ თანდათან დაიკარგა მისი  
თვითგანახლების უნარი. ეკოლოგიისა და მდგრადი გავითარების პრ-  
ობლემა—ეს არის ადამიანის ბუნებრივ გარემოზე საზიანო ზემოქმე-  
დების შემცირების პრობლემა.

საჭირო გახადა შემუშავებულიყო მდგრადი განვითარების მსო-  
ფლიო კონცეფცია, რომელიც მოიწონა გაერთიანებული ერების კონფერენციამ რიოდე-უნარიოში 1992 წელს და რომელიც მიეძღვნა ბუნებრივი გარემოსა და განვითარების პრობლემებს. იგი ითვა-  
ლისწინებდა მდგრადი გლობალური ეკონომიკის აგებას, რომელიც შეძლებდა პლანეტის დაბინძურების პრობლემის გადაწყვეტას, რესუ-  
რსების გამოყენების შემცირებას (დაზოგვას), მომავალი თაობები-  
სათვის პლანეტის ეკოლოგიური პოტენციალის აღდგენას.

მდგრადი განვითარებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა  
აქვს ისეთი ტექნოლოგიების (სუფთა, უნარჩენო) შემუშავებას, რო-  
მელიც მიმართული იქნება პლანეტის ეკოლოგიური რესურსების შე-  
ნარჩუნებისკენ.

უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ 1987 წელს გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების საერთაშორისო კომისიამ მოამზადა მოხსენება „ჩვენი საერთო მომავალი“, რომელმაც დიდი გავლენა იქნია ეკოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. ამის მიზანს შეადგენდა მსოფლიოში მომხდარი ცვლილებების შესაბამისი გლობალური პროგრამის მომზადება. მასში წარმოდგენილია ხანგრძლივერიოდიანი სტრატეგიები გარემოს დაცვის სფეროში, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკის მდგრად განვითარებას. აქვეა მოცემული ის საშუალებები და ხერხები, რომელთა გამოყენებითაც მსოფლიო საზოგადოება შეძლებს ბუნებრივი რესურსების პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას.

ამის საფუძველზე გაერომ მოამზადა მეტად მნიშვნელოვანი პროგრამა „XXI საუკუნის დღის წესრიგი“, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის ეკონომიკური და სიციალური განვითარების გლობალურ პროგრამას XXI საუკუნეში.

დაბეჭითებით უნდა თქვენს, რომ ახალი ტიპის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზრდის ჩამოყალიბების საფუძველი უნდა გახდეს მდგრადი განვითარება (Sustainable development).


#### **მდგარდი განვითარების მიზნებად გამოიყოფა:**

1. სიცოცხლე ხმელეთზე;
  2. სიცოცხლე წყალქვეშ;
  3. კლიმატის ცვლილება;
  4. სიღარიბის გარეშე;
  5. ნულოვანი სიმშილობა;
  6. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
  7. ხარისხიანი განათლება;
  8. სუფთა წყალი და სანიტარია;
  9. გენდერული თანასწორობა;
  10. შემცირებული უთანასწორობა;
  11. მდგრადი ქალაქები და ოემები;
  12. მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები;
  13. გონივრული წარმოება და მოხმარება;
  14. ინდუსტრია, ინოვაცია, ინფრასტრუქტურა;
  15. სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
  16. სუფთა ხელმისაწვდომი ენერგია;
  17. პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.
- რომ წარმოვიდგინოთ მედლის ორი მხარე-მდგრადი განვითარება

უკავშირდება კლიმატის გლობალურ ცვლილებას და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნაბას.

მდგრად განვითარებას ქმნის სამი ძირითადი ასპექტი: საზოგადოება, ეკონომიკა და გარემო.

ეს, წარმოვიდგინოთ დიაგრამის სახით.



არსებობს მდგრადი განვითარების ცნების 50-ზე მეტი განსაზღვრება. ზემოთ აღნიშნულ მოხსენებაში განსაზღვრულია, რომ „მდგრადი განვითარება არის ისეთი განვითარება, რომელიც აქმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ საფრთხეს არ უქმნის მომავალ თაობებს, დაიქმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები“.

არსებობს მდგრადი განვითარების სხვა განსაზღვრებებიც, რომლებიც ასახავს ცალკეულ ეკონომიკურ ასპექტებს. მათ შორის შემდეგია გამოიყოს შემდეგი:

- მდგრადი განვითარება არის განვითარება, რომელიც არ დააკისრებს მომავალ თაობებს დამატებით დანახარჯებს;
- ეს არის განვითარება, რომელიც ამცირებს უარყოფით გარე ფაქტორებს;
- ეს არის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო პოტენციალის მარტივ ან გაფართოებულ კვლავწარმოებას, მუდმივად;
- ეს არის განვითარება, რომლის დროსაც კაცობრიობაშ უნდა იცხოვოს მხოლოდ ბუნებრივი კაპიტალის პროცენტებით და არ შეეხოს თვით მას.

მსოფლიოს ყველა განვითარებული სახელმწიფო გამოხატავს სწრაფვას წავიდეს მდგრადი განვითარების გზით. პრაქტიკულად, უკანასკნელ წლებში ყველა კონცეპტუალური ოფიციალური სახელმწიფო და საერთაშორისო დოკუმენტი საბაზო იდეოლოგიად იყენებს მდგრადი განვითარების ცნებას.

მდგრადი განვითარების მიზნები უკავშირდება გლობალურ (გლობალიზაციის) პრობლემებს, რომელსაც სქემატურად თუ წარმოვიდგენ შემდეგი სახე ექნება:



მდგრადი განვითარების ცნებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს დღეისათვის მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების ეკოლოგიური შედეგების შეფასება გრძელვადიანი პერსპექტივისათვის.

შეიძლება გამოიყოს მდგრადი განვითარების პერსპექტივის შეფასების ოთხი კრიტერიუმი (აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ბუნებრივი რესურსებისა და მათი კვლავწაროების კლასიფიკაციას):

1. განახლებადი ბუნებრივი რესურსები (მიწა, ტყე და ა.შ.) არ უნდა შემცირდეს გარკვეული დროის მანძილზე;
2. აუცილებელია მაქსიმალურად შემცირდეს არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების (სასარგებლო წიაღისეული) მარაგების ამოწურვის ტემპი, იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რომ მომავალში შეიცვლება ისინი, რესურსების სხვა, შეუზღუდავი და განახლებადი სახეებით (ნავთობის, გაზის, ქვანახშირის შეცვლა ენერგიის აღტერნატიული წყაროებით-მზის, ქარის, გეოთერმული, ბიომასის ენერგიებით);
3. გათვალისწინებული უნდა იქნეს ნარჩენების რაოდენობის შემცირება მცირენარჩენიანი, უნარჩენო, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე;
4. გარემოს დაბინძურებამ, როგორც ერთობლივი, ისე ცალკე სახეების მიხედვით, პერსპექტივაში არ უნდა გადააჭარბოს მის თანამედროვე დონეს. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს დაბინძურების მინიმიზაცია სოციალურად და ეკონომიკურად მისაღებ დონეზე.

მდგრადი განვითარების უფრო დეტალური ანალიზისათვის გამოიყენება სუსტი და ძლიერი მდგრადობის ცნებები. ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ძირითადი დებულებების შესაბამისად ჩამოყალიბებულია სუსტი მდგრადობის, ძლიერი მდგრადობის და ტექნოგენური განვითარების ტიპის მომზრეთა შეხედულებები.

**ძლიერი** მდგრადობის მომზრები იკავებენ მკაცრ, ხშირად „ანტიეკონომიკურ“ პოზიციას: ეკონომიკის სტაბილიზაცია ან მასშტაბების შემცირება, პირდაპირი რეგულირების პრიორიტეტი, მოხმარების მკაცრი შეზღუდვა და ა.შ.

**სუსტი** მდგრადობის მომზრები ამჯობინებენ მოდიფიცირებულ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური მაჩვენებლების ეკოლოგიურ „მწვანე“ ცვლილებებს, ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენებას (ჯარიმები დაბინძურებაზე), სამომხმარებლო ქცევის შეცვლას და ა.შ.

ამ პოზიციათა საქმაოდ დიდი განსხვავების მიუხდავად, ისინი ეწინააღმდეგებიან ტექნოგენური განვითარების კონცეფციას, რომელიც ეყრდნობა თავისუფალი ბაზრის შეუზღუდავ განვითარებას, ორიენტაციას წმინდა ეკონომიკურ ზრდაზე, ბუნებრივი რესუსების ექსპლუატაციას, მაქსიმალურ მოხმარებას.

მდგრადი განვითარების მიღწევათა გზების შესახებ შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მიღები:

1. „ტოტალური გაწმენდის“ სტრატეგია, რომელიც მდგრად განვითარებას უკავშირებს ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკას, უნარჩენი ტექნოლოგიებს, წარმოების ჩაკეტილ ციკლებს. აღნიშნული მიღვომა გამომდინარებს იქიდან, რომ ცვლილებები გარემოში და ეკოლოგიური სისტემის დეგრადაცია არის მეურნეობის არასწორი მართვის შედეგი და შეიძლება აღმოიფხვრას მეურნეობის ისეთი გარდაქმნით, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის გარემოს. თუმცა, ამსოდებურად ჩაკეტილი ტექნოლოგიური ციკლის შექმნა ან შეუძლებელია, ანდა ძალიან ძვირი. ამიტომ, ცხოვრებაში მდგრადი განვითარების კონცეფციის სრული მასშტაბით დანერგვა, პირველი მიღვომის შესაბამისად შეუძლებელია.

2. მეორე მიღვომას ქმნის შეზღუდული მოხმარების სტრატეგია. იგი ეყრდნობა იმ თვალსაზრისს, რომ კაცობრიობა მოიხმარს ძალიან ბევრ ბუნებრივ რესურსს, რაც იწვევს მის ამოწურვას და გარემოს დეგრადაციას.

ორივე მიღვომა გამომდინარებს იქიდან, რომ ეკოლოგიური პრობლემების მთავარი წყარო არის ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარების მეტად მაღალი დონე.

მდგრადობა გვიჩვენებს თუ რამდენად შეუძლია საწარმოს განვითარდეს საკუთარი სახსრების (შესაძლებლობების ზარჯზე) და რამდენად არის იგი დამოკიდებული გარე დაფინანსების წყაროებზე.

ამრიგად, მდგრადი განვითარება კომპლექსური შინაარსის მომცველი ეკონომიკური კატეგორია. იგი, მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის აუცილებელი ელემენტია და კაცობრიობაც გარდუგალად დგას მის წინაშე..

## **5. უნივერსიტეტის სამსახურის დარბაზი Continuous Studying Hall**

---

უძლვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აკადემიკოსი  
ომარ ქეშელაშვილი

### **5.1. დიდი თამაში ბიზნესში**

ბევრი ცნობილი ბიზნესმენი და მეწარები თავის საქმიანობას ბიზნესში დიდ თამაშად მიიჩნევს. როგორც ამერიკელი ბიზნესმენი, კომპანია „ერარსი“-ს პრეზიდენტი ჯეპ სტეკი განმარტავს—ეს არ არის სისტემა, არც მეთოდოლოგია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ცხოვრებისული პოზიციაა, ანდა ცალკე აღებული წესების ერთობლიობა. დიდი თამაში—ეს გაცილებით ფართო გაგებაა, ეს სრულიად ახალი მიდგომა მართვაში. მისი თქმით, ამ თამაშის ძირითადი პრინციპის სრულიად მარტივი მტკიცებაა ის, რომ კომპანიის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს როგორც ხმის უფლება ყველა ძირითადი საკითხის განხილვისას, ისე უინანსურ შედეგებში მონაწილეობის უფლებაც, რაც მას დიდ სტიმულს აძლევს.

ცხადია, ეს ბიზნესში დიდი თამაშის ერთ-ერთი ვარიანტი და მიდგომაა. ყველა ბიზნესმენი თავისებურად აცნობიერებს ამ თამაშს და თავისივე მოდიფიკაციის მიდგომებს, მეთოდებსა და ხერხებს, პრინციპებს, მოტივაციებს, ტაბულების სისტემას, ტაქტიკასა და სტრატეგიას ირჩევს და აზორციელებს. ყველა ბიზნესმენს საკუთარი ხელწერა და ფილოსოფია აქვს და აუცილებლად უნდა ჰქონდეს კიდეც. სწორედ ამითი და ამდენადა საინტერესო ბიზნესი. ბიზნესის დიდ თამაშში ერთიანი და მზამზარეული რეცეპტები არ არსებობს.

საინტერესოა ჯეპი სტეკის ფორმულა—მიდგომაც იმის შესახებ, თუ რა ძირითადი კანონები უნდა გააჩნდეს ბიზნესს. იგი 10 კანონს გამოჰყოფს: 1. არაფერი არ წარმოიშობა არაფრისაგან; 2. ერთი ველზე არ არის მეომარი; 3. რასაც დასთეს, იმას მოიმკა; 4. აკეთებ იმას, რასაც უნდა აკეთებდე; 5. ძლიერად უნდა გწადდეს; 6. გულშემატკივრების გასულელება შეიძლება, მოთამაშებისა—არასოდეს; 7. ჩამორჩენილების ამოწევა—მაშინ პირველებიც უმატებენ ნაბიჯებს; 8. თვითონ თუ აირჩევს მიზანს, კაცი ხშირად აღწევს

წარმატებას; 9. თანამშრომლებისადმი უფურადღებობას მიჰყავხართ  
მათ გულგრილობამდე; 10. ცვლილებები იწყება ხელმძღვანელობიდან,  
ანუ თევზი თავიდან ლპება.

მისივე პოზიციებიდან გამომდინარე, ბიზნესის დიდ თამაშში  
შევდიგართ იმ მიზნით, რომ: 1. ჩვენ გვინდა შევასრულოთ აღებული  
ვალდებულებანი; 2. ჩვენ გვინდა დაკისწნათ ხალხი სამუშაოსადმი  
რუტინული დამოკიდებულებისაგან; 3. ჩვენ გვინდა თავი დავაღწიოთ  
მომაბეზრებელ ფორმულას: „მე პატარა კაცი ვარ“; 4. ჩვენ გვინდა  
შევქმნათ და სწორად გავანაწილოთ მატერიალური ფასეულობანი.

როგორც ბიზნესმენები მიიჩნევენ, ხვალინდელ დღეში დარ-  
წმუნებულობის უზრუნველყოფის ერთადერთი ხერხია მოგების მი-  
ლება და საკმარისი ნალი რესურსების ქონა. ყველა დანარჩენი მხო-  
ლოდ საშუალებებია ამ მიზნის მისაღწევად.

მიჩნეულია ისიც, რომ ბიზნესში ყველაზე მაღალი ზღუდუ-  
ეს არის უვიცობა და უმცირება. ეს ყველამ უნდა გაიცნობიეროს და  
გაითვალისწინოს თუ უნდა, რომ წარმატებებს მიაღწიოს ბიზნესში.

როდესაც ეცნობი გამოჩენილ ბიზნესმენთა და მწევერთა  
მოღვაწეობას, მათ ხელწერას, მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს  
თვალინათლივ რწმუნდები, რომ ბიზნესი-ეს მირითადად ადამიანებთან  
ურთიერთობის მთელი ჯაჭვია, ადამიანების უნარისა და შესა-  
ძლებლობების სწორად და მიზნობრივად გამოყენების მთელი სის-  
ტემაა, ადამიანის ნიჭის გამოვლენისა და ამოქმედების მთელი ფი-  
ლოსოფიაა. ამდენად, ის, ვინც ამ მიზნებს აღწევს, წარმატებებიც  
გარანტირებული აქვს.

## 5.2. მეგაპროექტი (მსოფლიო ეკონომიკა)

მეგაპროექტი ეს იგივე მსოფლიო ეკონომიკაა, იგი შეისწავლის საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ობიექტურად ჩართული ეროვნული (ცალკეული ქვეყნების) მეურნეობების ერთობლიობას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, განვითარების ეკონომიკურ მექანიზმს.

მსოფლიო ეკონომიკის საფუძველია შრომის საერთაშორისო დანაწილება. უკანასკნელი 35-40 წლის მანძილზე შრომის საერთაშორისო დანაწილება მთლიანად გარდაიქმნა. მოხდა გადასვლა ტრადიციული ორსაფეხურიანი სისტემიდან (ყველაქვეყანა იყოფოდა ინდუსტრიულ და აგრარულ-სანედლეულო ქვეყნებად) სამსაფეხურიან სისტემაზე, რომელიც შედგება უახლესი და პროგრესული ტექნოლოგიების მონოპოლისტი ქვეყნებისაგან; მინერალური და სასოფლო-სამურნეო ნედლეულის მიმწოდებელი ქვეყნებისაგან და იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც სპეციალიზებული არიან მასალა და შრომატევადი პროდუქციის აწყობასა და წარმოებაზე.

მეგაპროექტია შეისწავლის (ანუ მისი ძირითადი მიმართულებებია):

- საერთაშორისო ვაჭრობას;
- კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციას;
- ტრანსეროვნული კორპორაციებისა და ერთობლივ საწარმოთა ტიპებს;
- სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციას;
- ეკონომიკური ზრდის საგარეო ფაქტორებს, ტემპებსა და პროპორციებს;
- სასურსათო უსაფრთხოებას;
- მსოფლიო ეკონომიკის რეგულირების მექანიზმს;
- მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებს;
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ და ლოკალურ (თითოეული ქვეყნის) პრობლემებს.

მსოფლიო ეკონომიკის დამკვიდრება სამრეწველო გადატრიალებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია. მკვლევართა უმეტესობა მას კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას (როცა სიმდიდრის დაგროვება მოხდა მცირერიცხოვან ადამიანთა ხელში) და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანას უკავშირებს.

მსოფლიო ეკონომიკის (მეურნეობის) ჩამოყალიბების ამოსავალ პერიოდს მეოცე საუკუნის დამდეგს უკავშირებნ, რაც ხანგრძლივ ისტორიულ პროცესებს ახლდა თან. ყველაფერი საერთაშორისო (მსოფლიო) ვაჭრობით, ე.ი. ქვეყნებს შორის საქონლისა და მოშახურების მოძრაობით (გაცვლით) დაიწყო.

## 6. ტერმინები Terms

---

ომარ ქეშელაშვილი-  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკონი

### 6.1. ინტერირიზაცია

მომსახურების სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია და ბოლო წლებში საქამაოდ ვითარდება ინჟინირინგი.

ინჟინირინგი-არის საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება, მისი განვითარება განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და ამის შესაბამისად საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება ქვეყნებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და გამოყენება.

ინჟინირინგი ორი სახის შეიძლება იყოს:

1. წარმოების პროცესის მომზადებასთან დაკავშირებული;
2. წარმოებისა და რეალიზაციის პროცესთან დაკავშირებული.

პირველი მოიცავს: ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევებს; წინა საპროექტო სამუშაოებს, ნიადაგურ გამოკვლევებს, ტოპოგრაფიულ სამუშაოებს, ტერიტორიის დაგეგმარებას, სხვადასხვა საინჟინრო-საბიექტო სამუშაოებს, საინჟინრო პროექტების შედგენას, გენერალური სქემების შედგენას, ელექტრო-გამომთვლელი მანქანის მოდელებისა და პროგრამების შედგენას, გამოყენებით საინჟინრო მომსახურებას, ინჟინერ-სპეციალისტთა მომზადებასა და ა.შ.

მეორე მოიცავს: ობიექტის ექსლოატაციასთან, მოწყობილობებისა და დანადგარების გამოცდასთან, წარმოების პროცესის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ მომსახურებას, პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რეკლამის სფეროში მომსახურებას, ბაზრების კონიუქტურის გამოკვლევას, საბირჟო ურთიერთობებში მომსახურებას, საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის დამუშავებას, ელექტრო-გამომთვლელი ტექნიკის ექსპლოატაციას და სხვ.

უკანასკნელ ხანს ინჟინირინგის როლი მკვეთრად გაიზარდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საწარმოთა მოდერნიზაცია, კომპიუტერიზაცია, ინფორმატიკა, მენეჯმენტის ავტომატიზაცია და სხვ.

ინჟინირინგი ფართოდ იჭრება ისეთ დარგებში, როგორიცაა: ტრანსპორტი, კავშირგაბულობა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ელექტროგამომთვლელი ტექნიკის წარმოება და ექსპლოატაცია.

ინჟინირინგის ღიღ ექსპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენს: აშშ, ინგლისი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვ.

ინჟინირინგს ფართო პურსპექტივები გააჩნია. მომავალში ბიზნესის ეს ფორმა ფართოდ იქნება გამოყენებული წმინდა ინჟინირინგულ სფეროებში, კერძოდ: საინჟინრო კონსულტაციებსა და მომსახურებაში, რაც დაკავშირებულია პროექტების შედგენასთან, მშენებლობის ოპტიმალური ვადების დადგენასთან, საკვლევ-საძიებო სამუშაოებთან, ობიექტის ექსპლოატაციაში გამოშვების კონტროლთან, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების კოორდინაციასთან, პროექტის მარკეტინგული მიზანშეწონილობის დადგენასთან და სხვ.

## 6.2. ფაქტორინგი

ფაქტორინგი ბიზნესის ინფრასტრუქტურის, კერძოდ ფინანსური მომსახურების ახალი სახეა. მისი წარმოშობა ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა განაპირობა.

ფაქტორინგის არსი ისაა, რომ გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობაში ერევა მესამე პირი—ფაქტორ-ფირმა, რომელიც გამყიდველისაგან ყიდულობს მყიდველის მიერ ანგარიშის განაღდების მოთხოვნის უფლებას, 2-3 დღეში უნაზღაურებს კლიენტს (გამყიდველს) გარიგების თანხის 70-90%, ხოლო დანარჩენს უხდის მას შემდეგ, რაც მყიდველი განაღდებს ანგარიშს.

ბრუნვის სწრაფი ზრდა საწარმოებს აიძულებს დიდი რაოდენობის ლიკვიდური სახსრები დაგროვონ, გაანაღდონ მომწოდებელთა ანგარიშები და დროულად გასცენ ხელფასი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მომწოდებლები დაინტერესებულნი არიან პროდუქცია პირველ რიგში იმ ფირმას მიჰყიდონ, რომლებიც დაუყოვნებლივ (როგორც წესი 5-10 დღეში) ანაღდებენ ანგარიშს. ასეთ ფირმებს მომწოდებლები ფასდაკლებით შედავათებსაც უწევენ.

სწორედ ამ ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობამ განაპირობა ფაქტორინგის წარმოშობა.

ფაქტორ-ფირმებს მჭიდრო კავშირი აქვთ ბანკებთან, ზოგჯერ ისინი თვით ბანკების ქალიშვილ-ფირმებს წარმოადგენენ. ამიტომ, ხელი მიუწვდებათ საბანკო ინფორმაციულ-კომპიუტერულ სისტემაზე, გააჩნიათ მდიდარი და უახლესი ინფორმაცია, რის საშუალებითაც შეუძლიათ მომწოდებელს მიაწოდონ ყოველნაირი მონაცემი მყიდველის გადახდისუნარიანობის შესახებ.

ფაქტორ-ფირმები ზოგჯერ თავის თავზე იღებენ რისკს მყიდველის გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით.

ფაქტორ-ფირმები მომწოდებლებს ექსპორტის სფეროში ორი სახის დამატებით მომსახურებას სთავაზობენ, კერძოდ: ე.წ. „ფარულ“ და „ლია“ ფაქტორინგს.

ფარული ფაქტორინგის დროს მომწოდებელი ფაქტორ-ფირმა-სთან აფორმებს ხელშეკრულებას, რის თანხმადაც რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ყველა გარიგების შესახებ და უგზავნის ყველა საექსპორტო ანგარიშის ასლს. ექსპორტიორის კლიენტმა არ იცის ამ ხელშეკრულების შესახებ. ფაქტორ-ფირმა თავის მომწოდებელს უხდის გარიგების თანხის 80%, როცა ექსპორტიორი თავისი კლიენტისაგან ფულს მიიღებს, გაუსწორებს ანგარიშს ფაქტორ-ფირმას. თუ ექსპორტიორის კლიენტს არ შეუძლია, ან არ სურს გაანაღდოს

ანგარიში, ვადის გასვლიდან 60 დღის შემდეგ, იგი ატყობინებს მას, რომ ანგარიშის განაღდების მოთხოვნის უფლებას თავის ფაქტორ-ფირმას უთმობს.

ღია ფაქტორინგის შემთხვევაში ექსპორტიორი თავიდანვე ვა-ლდებულია მყიდველს აცნობოს, რომ ანგარიშის განაღდების მოთხოვნის უფლება მან ფაქტორ-ფირმას დაუთმო.

საერთოდ, ღია ფაქტორინგის ღირებულება შედარებით მაღალია, ვიდრე ფარულისა და გარიგების თანხის 0.7–1.5%-ს უდრის.

<b>1. ეკონომიკა და ბიზნესი- Economics and Business .....</b>	<b>5</b>
ომარ ქეშელაშვილი- საქართველო ახალ მსოფლიო წესრიგში (ანუ საქართველო გლობალიზაციის წრედში) .....	5
<b>O. Keshelashvili-Georgia in a new World Order-Georgia and Globalization .....</b>	<b>11</b>
<b>2. აგრარული ეკონომიკა-Agrarian Economy .....</b>	<b>12</b>
დალი სილაგაძე- ქვეყნის სოფლის მურნეობაში მიმდინარე პროცესები .....	12
<b>Dali Silagadze-Processes in the country's agriculture .....</b>	<b>17</b>
დალი სილაგაძე- მურნეობების დაფინანსების ახალი შესაძლებლობები .....	18
<b>Dali Silagadze- New opportunities for financing farms .....</b>	<b>22</b>
მანანა შალამბერიძე, ზეინაბ ახალაძე-ხორბლის ბაზრის განვითარების შესაძლებლობები .....	23
<b>Manana Shalamberidze, Zeinab Akhaladze- The opportunities for the development of the wheat market .....</b>	<b>26</b>
<b>3. პვების მრავალობა- Food Industry .....</b>	<b>27</b>
ე. ედიბერიძე, ლ. კორარაშვილი, მ. ორმოცაძე, ნ. ლომსაძე- ჰიდრატოპექტინის გამოყენება რძემჟავა პროდუქტებში .....	27
<b>E. Ediberidze, L. Kotorashvili, M. Ormotsadze, N. Lomsadze - Use of hydrotpectin in lactic acid products .....</b>	<b>31</b>
<b>4. საკონსულტაციო დარბაზი- Consulting hall .....</b>	<b>32</b>
ომარ ქეშელაშვილი-სოფლის მურნეობა კითხვებსა და პასუხებში 32 ომარ ქეშელაშვილი, გოჩა ალექსიძე, მარიამ ქეშელაშვილი, ნათია სილიკაშვილი, ომიკო ქეშელაშვილი, ქეთევან სილიკა- შვილი, გივი ჯაფარიძე-მდგრადი განვითარება-მსოფლიო გლობალური პრობლემა .....	40
<b>5. უცყვეტი სტავლების დარბაზი-Continuous Studying Hall(ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) .....</b>	<b>46</b>
5.1. დიდი თამაში ბიზნესში .....	46
5.2. მეგაკონომიკა(მსოფლიო ეკონომიკა) .....	48
<b>6. ტარმინები-Terms (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) ....</b>	<b>49</b>
6.1. ინჟინირინგი .....	49
6.2. ფაქტორინგი .....	51
<b>შინაარსი—CONTENTS .....</b>	<b>53</b>

**მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსაღები სტატიების მიმართ:**

1. სტატიის მოცულობა—5-6 გვ-დე; ნაბეჭდი (LitNusx— 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMtavrPS —11, ფორმატი Pege Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0;), ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატეკირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი (ინტერნეტული ვერსია—0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;

## **2020 წლის III-IV კვარტალი**

### **ტექნიკური რედაქცია:**

ინგლისური ვერსია-ი.ბახტაძე, თ. ეპიტაშვილი.

### **ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკონის ომარ ქეშელაშვილი.

### **ჟურნალის გამომცემლები და ფინანსური მხარდამჭერები:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზი-დენტი აკადემიკონი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი),

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 3,1

პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 3.4